ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

14
სექტემბერი,
ორშაბათი,
2015 წ., №10

რედაქტორის სვეტი

ახალი რეალობა და ახალი პროექტები

„ფაქტები ყველაფრის მეტყველია“

„თქვი შენი სათქმელი“ - ამ მოწოდებას რამდენიმე წლის წინ რისკ-ფაქტორიც ახლდა და სტუდენტების უკუ-რეაქციაც: - „ვიტყვი, მაგრამ დაგეჭდავთ რო? თუ დაგეჭდავთ, ვინ მოგვისმენს? თუ ვინმე მოგვისმენს, არ დაგვაჯარიმონ ან თვალში არ მოვხვდეთ მავანთ შემდგომი რეაგირებისთვის!“ - ეს დრო და სიტუაცია ყველასთვის ნაცნობი შეიძლება გარეთ იყო და არა „შინ“... „შინ“ ანუ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის სახეს კი ყველა დროში უნივერსიტეტის გაზეთი „ძერწავდა“. და იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სუნთქვას დღესაც გრძნობდეთ, მისი გაზეთის უახლეს ისტორიულ ნიუანსებსაც უნდა იცნობდეთ. სწორედ ამიტომ ვიხსენებთ ახლა იმ რთულ პერიოდს, რომელიც შეგვაძლებინებს აწმყოს გააზრებას უნივერსიტეტის იდეასთან მიმართებაში.

მე-2 გვერდზე

საგნების არჩევა— გადაუჭრელი პრობლემა?!

სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ხშირად მოგვისმენია ფრაზა, რომ აკადემიური რეგისტრაცია თსუ-ში ,,ჯუნგლთა კანონს“ ჰგავს და ყველაფერი „ძალმომრეობაზეა“ დამოკიდებული. ამ პერიოდში უნივერსიტეტში ხშირად გვხვდება სტუდენტებისაგან შემდგარი ,,ცოცხალი რიგი“ და ისინი შესაბამისი მიმართულების ტუტორებს საგნებზე ადგილების დამატებას სთხოვენ. ამ მხრივ, არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. რეგისტრაციის დაწყებიდან ძალიან მალე სოციალურ ქსელში საპროტესტო ტალღა აგორდა, შეიქმნა ჯგუფი „თსუ-ის სტუდენტები უსაგნებოდ“, რომელმაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ნაწილი გააერთიანა. მალევე დაიგეგმა საპროტესტო აქციაც. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტების დიდმა ნაწილმა საგნები უპრობლემოდ აირჩია.

მე-3 გვერდზე

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

პირველ რიგში ვულოცავ ჩვენს პირველკურსელებს საქართველოს უმთავრეს უნივერსიტეტში ჩაბარებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის უძველესი და ყველაზე დიდი სასწავლებელი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის მასშტაბით — ჩვენ 22 ათასამდე სტუდენტი გვყავს. ...და იყო ამ უნივერსიტეტის სტუდენტი (რაც ნამდვილად არ გახლავთ ადვილი), ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ერთი რამ მინდა სჯეროდეს ყველა სტუდენტს, რომ უნივერსიტეტი მათ მაქსიმალურად მისცემს იმას, რაც თავად უნივერსიტეტს გააჩნია.

უნივერსიტეტი არის მუდმივად განახლების, დახვეწის, ტრანსფორმაციის პროცესში და, გუნებრივია, რომ ყოველ წელს ვცდილობთ — გარკვეული სიახლეები შევთავაზოთ სტუდენტებს, ხელი შევუწყოთ მათი სწავლა-განათლების პროცესს.

ყველას ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვიმედოვნებთ, რომ 2015-2016 სასწავლო წელი იქნება უკეთესი, ვიდრე წინა სასწავლო წელი იყო.

ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის რექტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი

წლის საუკეთესო პედაგოგები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, საუკეთესო მაჩვენებლების მქონე პედაგოგები გამოვლინდნენ (მეთოდოლოგია გახლდათ: გამოკითხვებში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობის, შეფასების მაქსიმალური ქულის, საშუალო ქულისა და გადახრის მედიანის სინთეზი. შეფასების კრიტერიუმად აღებულია საშუალო გადახრა, საშუალო ქულა. ასევე მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა (რამდენი სტუდენტი იყო ჩაწერილი პედაგოგთან და რამდენმა შეაფასა პედაგოგი).

კითხვარი შედგენილია თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2014 წლის ნოემბერში დამტკიცებული გრძანების საფუძველზე. მის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალური აპარატი, ასევე, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, ფაკულტეტების ადმინისტრაციები და პროფესურა. ამ კითხვარის მიხედვით, სტუდენტთა გამოკითხვა ჩატარდა 2-ჯერ — შემოდგომის სემესტრის და გაზაფხულის სემესტრის დასასრულს.

მე-4 გვერდზე

თსუ მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში კვლავ დაწინაურდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიცია მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში გაუმჯობესდა და კვლავ კავკასიის რეგიონში ლიდერია. ახალი რანჟირებით, თსუ-მ მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 2006-დან 830-ე ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 714-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია საქართველოსა და კავკასიის რეგიონში.

2015 წლის მარტის მონაცემებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რანჟირებისას, ტექნიკური თვალსაზრისით არ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების — ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) და მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე არსებული მაჩვენებლები. ISET-ისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მონაცემებთან დაკავშირებული ხარვეზის გასწორების შემდეგ თსუ-ის მაჩვენებელი გაუმჯობესდა.

www.webometrics.info-ს რანჟირებით, კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს. მსოფლიო უნივერსიტეტების ვებ-რანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რანჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებ-გვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებ-გვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებ-გვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას.

კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

რედაქტორის სვეტი

ახალი რეალობა და ახალი პროექტები

პირველი გვერდიდან

2007 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია დახურვას გადაურჩა ე.წ. „მეამბოხე“ სტუდენტებთან და უნივერსიტეტიდან 2006 წელს დევნილ პროფესურის ნაწილთან ურთიერთობების გამო. ის, ვინც 2007 წელს გაზეთი დახურვას გადაარჩინა, პროფესორი, მაშინდელი აკადემიური საბჭოს წევრი **გუგული მაღრაძე** გახლდათ. მან მაშინ შეახსენა რექტორს, რომ „თბილისის უნივერსიტეტი“ ერთ-ერთი უძველესი გამოცემაა საქართველოს მასშტაბით, რომელიც ჯერ კიდევ 1927 წელს დაარსდა. მნიშვნელოვანი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ

Super Ego TV

იაგო კაჭკაჭიშვილი


რამაზ საყვარელიძე


თამარ ჩიქოვანი

ზაზა ხუციშვილი

თარიღია, რადგან პირველ გაზეთს „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ ერქვა და, დამეთანხმებით, რომ მისი იდეურ-შინაარსობრივი მხარე, როგორ ჩვენი გაზეთის წინამორბედისა, საამაყოდ ვერ გამოგვადგება. თუმცა საბჭოთა ეპოქის ბოლო წლებში, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდში უნივერსიტეტის გაზეთს თეთრი ტაძრიდან მონაბერი სულის ნაწილად თვლიდნენ, იმდენად პროგრესული, ეროვნული და ქართველი ერისთვის მოამაგეობრივი იყო. იმ პერიოდის გაზეთის ტრადიციებს მართლაც უნდა შენარჩუნება განვითარების კვალდაკვალ. თუმცა საბჭოთა ეპოქა უნივერსიტეტის გაზეთს 2008 წელსაც შეახსენეს და მაშინ უხეში ადმინისტრაციული ჩარევისგან გაზეთი სოციოლოგმა, პროფესორმა, უნივერსიტეტის გაზეთის რედკოლეგიის წევრმა **იაგო კაჭკაჭიშვილმა** იხსნა. ეს გვარ-სახელები ძვირფასია უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციისთვის და ყველა ჩვენი გულშემატკივრისთვის, ვინც თვლიდა, რომ უწყებრივი გაზეთის უხეში ცენზურით დაკნინება უნივერსიტეტის იდეის დაკნინებაც იყო (უნივერსიტეტის გაზეთი ხომ რომელიმე სამინისტროს გაზეთს არ უნდა წააგავდეს). თუმცაღა გაზეთისადმი ასეთი დამოკიდებულება ვის გაუკვირდებოდა იმ ფონზე, როცა უნივერსიტეტი ღირსეული პროფესურის ნაწილისგან დაცალეს და სისტემა, იდეა, არსი „მოარღვიეს“, უნივერსიტეტი კი საყოველთაო სიყვარულისგან დაშრიტეს. ალბათ, ამიტომაც იჯერებდა საზოგადოება უმალ ცუდსა და ავს უნივერსიტეტზე და ხან პანთეონის განადგურებაზე და ხან პირველი ქართული უნივერსიტეტის შენობის გაყიდვაზე ჭორებს ჰყვებოდა. უნივერსიტეტის თავზე მოგროვებული შავი ღრუბლები მაშინ საზოგადოებრივი სასოწარკვეთის განცდასაც იტევდა. უნივერსიტეტში დასადგურებული პოლიცია უშიშროების მანტიით ბოლშევიკური საქართველოს დროინდელ ნეგატივიზმს ბადებდა და ეს ნეგატივიზმი დედა-უნივერსიტეტის ფუნქციური მოშლილობის წრეში ყველა რგოლს, ყველა სტრუქტურას, პიროვნებას ითრევდა... პიროვნებები აშავებდნენ თუ პოლიტიკური სისტემა აშავებდა - ამას არავინ არჩევდა... როცა იდეა დამახინჯდა, ჩირქი მოეცხო სუყველას...

გადაიფურცლა თუ არა მძიმე წლების ტევადი წიგნის ეს გვერდი? „არ გათეთრდების ყორანიო“ - ნათქვამია, მაგრამ ის, ვინც თეთრი ტაძრის ღირსეულ შვილად მიიჩნევდა თავს, იმ ჭუჭყს იბერტყავს, რომელიც დრომ და გარემოებამ მოაცხო. დრო კი უდავოდ შეიცვალა. „ფაქტები ყველაფრის მეტყველია“ - ამას გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტისთვის“ მიცემული თავისუფლების დღევანდელი ხარისხი გვალაპარაკებს. გვერწმუნეთ, ეს ერთგვარი საზომია „ახალ ეპოქაში“ გადარჩენის იმ გზის, რისკენაც უნივერსიტეტმა გაიხედა. შევნიშნავთ იმასაც, რომ გაზეთისთვის ახალი სივრცის გახსნამ საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილში აკადემიურობის დაკარგვის საფრთხის შიშიც კი გააჩინა, თუმცა აქვე განვმარტავ: გაზეთისთვის აკადემიზმის მოთხოვნის წაყენება ხშირად საუნივერსიტეტო პრობლემებზე ღიად მსჯელობის და მწვავე დისკუსიების შეფარვით აკრძალვასაც გულისხმობდა. ჩემი აზრით, აკადემიურობის მოთხოვნა გაზეთისთვის სიტყვის თავისუფლების პრინციპის პატივისცემასაც უნდა მოიცავდეს (ყვითელი პრესის ენით ლაპარაკის გარეშე).

რაც შეეხება იმის დაკონკრეტებას, თუ რა შეიცვალა გაზეთისთვის, ჩვენ მხოლოდ ფაქტებით შემოვიფარგლებით და სიახლეებზე გავაკეთებთ აქცენტს (შეფასება კი მკითხველისთვის მიგვინდვია):

1. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია 2015 წლის იანვრიდან ახორციელებს პროექტს: „პუბლიცისტური ნარკვევები“, რომელშიც აისახება უნივერსიტეტის დამაარსებლების, სამეცნიერო სკოლების დამფუძნებლების და ცნობილ თანამედროვე მეცნიერთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები ექსპერტთა შეფასებებით. „პუბლიცისტური ნარკვევები“ ბროშურად გამოიცემა. უკვე გამოცემულია ორი კრებული ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

2. გაზეთის რედაქცია ახალი სასწავლო წლიდან საუნივერსიტეტო საზოგადოებას შესთავაზებს გაზეთის ვებ-გვერდს, რომელიც ყოველდღიური სიახლეებით დაიტვირთება.

3. გაზეთის რედაქციასთან არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა 2014 წლის მარტიდან დაიწყო პროექტი: „დოკუმენტური ფილმები“, რომელიც ცნობილი საუნივერსიტეტო საზოგადო მოღვაწეების შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღებას და პარალელურად მათ საიუბილეო საღამოებზე ფილმების ჩვენებას ემსახურება. ამ პროექტის ფარგლებში უკვე ნაჩვენებია ფილმები პროფესორ მიხეილ ქურდიანზე, მთარგმნელ გივი გაჩეჩილაძეზე და აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეზე.

4. გაზეთის რედაქციასთან არსებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა 2014 წლის მარტიდან დაიწყო საუნივერსიტეტო გადაცემების „უნივერსიტეტი“ მომზადება, რომელიც უნივერსიტეტის ახალი ამბების, ინიციატივების, პრობლემების ასახვას და საუნივერსიტეტო საზოგადოების ყოველმხრივი საქმიანობის წარმოჩენას ისახავს მიზნად. გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადის ყოველ შაბათს, 17:00 საათზე და მზადდება გაზეთის რედაქციაში მოწვეული თანამშრომლების მიერ და თსუ-ის მულტიმედიაცენტრის ბაზაზე.

5. გაზეთის რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფი 2015 წლის 1 ოქტომბრიდან იწყებს ახალგაზრდულ თოქ-შოუს, რომელიც გადაცემა უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროექტია. პროექტი თსუ-ის სტუდენტთა ყოველმხრივი პოზიციებისა და მოსაზრებების წარმოჩენას მოემსახურება. თოქ-შოუს წარუძღვებიან ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე, სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი, ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი და მუსიკოსი ზაზა ხუციშვილი. პროექტის მთავარი აქტორები თსუ-ის სტუდენტები იქნებიან.

ყველა ამ პროექტის ხელშემწყობთა ვინაობა ადვილი მისახვედრია, რთული ზოგიერთისთვის მხოლოდ იმის გაცნობიერებაა, რომ დრო მართლაც შეიცვალა და რომ ხმაამოღებული საუნივერსიტეტო საზოგადოების არსებობა იმის წინაპირობაა, რომ უნივერსიტეტი კვლავაც იტყვის თავის სათქმელს. ხმის ამოღებასა და ხმლის ამოღებას შორის ზღვარის გავლებაში კი, იმედია, თავად დრო და გარემოება დაგვეხმარება - ჩვენ ყველას ერთად!!!

ნინო კაკულია,
გაზეთ „თბილისის
უნივერსიტეტის“ რედაქტორი

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ

ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲐᲣᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲐ



— საკმაოდ რთული წელი გამოვიარეთ. არც მისაღები ეროვნული გამოცდები იყო მარტივი. ჩვენს უნივერსიტეტში აუთვისებელი ადგილები დაგვრჩა მხოლოდ გამოცხადებული ვაკანსიის 3,4%, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. უნივერსიტეტი პრაქტიკულად სრულად შევსებულია, რაც შეეხება დარჩენილ ვაკანსიებს, ეს მოსალოდნელიც იყო. შეუვსებელი დაგვრჩა, მაგალითად, პროგრამა — ქართული ენის შესწავლა აფხაზებისთვის. უნივერსიტეტი ყოველთვის გამოაცხადებს ამ პროგრამას, მაგრამ აქ ყოველთვის დაგვრჩება აუთვისებელი ადგილები, ვიდრე არ გადაწყდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხი.

სან დიეგოს უნივერსიტეტში სწავლა 28 სექტემბერს დაიწყება

— ამავდროულად, ვამაყობთ, რომ ყველაზე მეტი მაღალრეიტინგული სტუდენტი ჩვენ გვყავს. მათ შორის ძალიან ბევრმა გაბედა და ჩააბარა ქართულ-ამერიკულ პროგრამაზე სან-დიეგოს უნივერსიტეტის საინჟინრო სკოლაში. ჩვენ მათთვის არ შეგვითავაზებია დამატებითი რაიმე მატერიალური წახალისება, რაც ზოგიერთ უნივერსიტეტს გაცხადებული ჰქონდა სტიპენდიების დაწესების სახით (ჩვენ ამის შესაძლებლობა ამ ეტაპზე არ გაგვაჩნდა), მაგრამ ახალგაზრდების უმრავლესობამ მაინც ჩვენი უნივერსიტეტი აირჩია. ამჟამად სან დიეგოს უნივერსიტეტისათვის გამოყოფილ აუდიტორიებში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. იქ სწავლა 28 სექტემბერს დაიწყება და ამ დროისთვის ყველაფერი უნდა იყოს წესრიგში.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛᲐᲪ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ

— აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ წელს პირველად გვქონდა მიღება ახლად შექმნილ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ის, რომ ჩვენი გადაწყვეტილება ფაკულტეტის შექმნის თაობაზე იყო სწორი, გამოჩნდა იმ მხრივაც, რომ უნივერსიტეტში ყველაზე მოთხოვნად ფაკულტეტად ხუთეულში ფსიქოლოგია გამოიკვეთა. ესეც დასტურია იმისა, რომ არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და აკადემიური პერსონალის (ვგულისხმობ ჩვენს კოლეგებს — ფსიქოლოგებს), არამედ თავად ახალგაზრდების არჩევანი სწორი ყოფილა, რათა საქართველოში გაიზარდოს ფსიქოლოგების ახალი თაობა.

მოამზადა
ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲛ

ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ

ᲗᲡᲣ-ის უწყვეტი განათლების ცენტრი ახალი გეგმებით ხვდება ახალ სასწავლო წელს და ცენტრის ხელმძღვანელობას საკმარისი მიზეზიც აქვს სხვა შემართებით დაიწყოს საქმიანობა. ეს მიზეზი ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას და მათთვის ახალი გარემოს შექმნასაც უკავშირდება.

ცენტრის ხელმძღვანელი ᲒᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ *სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება:*

— თანამედროვე სამყაროში პროფესიონალიზმი განისაზღვრება არა მხოლოდ ადამიანის პროფესიული აქტივობით, არამედ თავის ეფექტურად წარმოჩენისა და პრეზენტაციის (როგორც ენობრივი, წერილობითი, ისე ზეპირი) უნარების ფლობით. ამ მიმართულებით საზოგადოებას შევთავაზეთ ტრენინგი, რომლის მიზანია — ხელი შეუწყოს როგორც საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე, ისე, ზოგადად, დაინტერესებულ პირებს თავიანთი საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში, სამსახურებრივი საქმიანობის ეფექტურად წარმართვასა და, საბოლოოდ, სამსახურებრივი რეპუტაციის ამაღლებაში. ტრენინგის კურსის ფარგლებში ისინი, ძირითადად, დაეუფლებიან აკადემიური წერის მთავარ პრინციპებს, ფუნქციური წერის ელემენტებს, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის შედგენის წესებს, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, მართლწერის საკითხებს, საჯარო გამოსვლის უნარებს.

აღსანიშნავია, რომ „თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტი“ თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრის შემადგენლობაში შევიდა. უწყვეტი განათლების ცენტრში, დღეს, სკოლის მოსწავლეებისთვის კინოს კვირეული მიმდინარეობს. საბავშვო უნივერსიტეტის მოსწავლეებს საშუალება აქვთ გაეცნონ მსოფლიო კინო შედევრებს, რომელშიც განხილულია საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემები.

ტრენინგ კურსების გარდა სხვადასხვა აქტივობებსაც ვგეგმავთ: საჯარო ლექციები, მოსამზადებელი კურსები.

ასევე ვიზრუნეთ ცენტრის გაფართოებაზეც. ცენტრის ეფექტური საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია გვქონოდა ტექნიკურად უზრუნველყოფილი აუდიტორიები, რომელსაც ჩვენ განვკარგავდით. მიზნის მიღწევაში თსუ-ის ადმინისტრაცია და რექტორი დაგვეხმარა. სწორედ მათი გადაწყვეტილებით გახდა შესაძლებელი ცენტრს საკუთარი ოფისი ჰქონოდა. ოფისი გარემონტდა და ნაწილობრივ ტექნიკურადაც აღიჭურვა. ვფიქრობთ, რომ ეს აუდიტორიები ყოველთვიურად დატვირთული იქნება. სულ 3 აუდიტორია გაკეთდა, სადაც ტრენინგები და კურსები ჩატარდება. მნიშვნელოვანია, რომ უწყვეტი განათლების ცენტრს საკუთარი სივრცე აქვს და ეს მეტის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ყოველთვის გვქონდა პრობლემა აუდიტორიებთან დაკავშირებით, თსუ-ის აუდიტორიები მუდმივად დატვირთულია და ეს ფაქტი ხშირად გვიშლიდა ხელს ცენტრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. დღეს კი ახალი აუდიტორიები საშუალებას მოგვცემს დავგეგმოთ საინტერესო ღონისძიებები, ტრენინგები, რომლებიც განკუთვნილი იქნება არა მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო, არამედ ფართო საზოგადოებისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულ შეთავაზებებს, მაგალითად, 15 სექტემბრიდან ადმინისტრაციის თანამშრომლები გაივლიან სასერტიფიკატო კურსს „შრომის სამართალი“ და, აგრეთვე, სასერტიფიკატო კურსს კომპიუტერულ პროგრამა „Excel“-ში. ასევე, გამოცხადდა რეგისტრაცია შემდეგ კურსებზე: CISC-ის ქსელის სერტიფიცირებული სპეციალისტი (CC), წერისა და ზეპირი პრეზენტაციის უნარები (ტრენინგი), ტრენერების ტრენინგი (დამწყებთათვის), ორისის ბუღალტერია და კომპიუტერული პროგრამა „Excel“.

რეგისტრაცია შესაძლებელია 7 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით, (დეტალური ინფორმაცია განთავსებულია http://bit.ly/1ETJAAJ). ჩვენი კარი ღიაა ყველა იმ პირისათვის, რომელიც დაინტერესებულია ცოდნის ამაღლებითა და პროფესიული წინსვლით.

მოამზადა
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ

ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ—ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲠᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ?!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დამატებითი ინფორმაციის მიღებისთვის გავესაუბრეთ IT სამსახურის ხელმძღვანელს ტარიელ ზარანდიას. როგორც ბ-მა ტარიელმა აღნიშნა, ტექნიკური თვალსაზრისით მცირე ხარვეზიც კი არ დაფიქსირებულა, ბაზებთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა, „მე შემიძლია ვისაუბრო ტექნიკური თვალსაზრისით, ტექნიკურად პრობლემა არ ყოფილა, არც ერთი სახის შეფერხება არ ჰქონია სისტემას, თითოეული ფაკულტეტის გახსნისას რეგისტრირდებოდა წუთში 7000-მდე საგანიც კი, შესაბამისად ოდნავი დაყოვნებაც არ ყოფილა“. მიმდინარე სემესტრში, როგორც IT დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გვითხრა, მაგისტრანტები რეგისტრაციას გაივლიან ახალი ბაზით, რომელიც მნიშვნელოვნად იქნება გაუმჯობესებულიც და ინფორმატიულიც.

საგანგებოდ ვუთითებთ, რომ სტატიისთვის გავესაუბრეთ მხოლოდ იმ სტუდენტთა ნაწილს, რომლებსაც პრობლემები შეექმნათ საგნების არჩევასთან დაკავშირებით:

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘᲫᲔ პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტია და იგი თავად გეგმავს, რომ აქციის ორგანიზებაში მიიღოს მონაწილეობა: „ პრობლემებს რაც შეეხება, პირველ რიგში, საგნების რაოდენობა არ შეესაბამება სტუდენტების რაოდენობას, რის გამოც ბევრი სტუდენტი დარჩა უსაგნოდ, ან ვერ აირჩია სასურველი საგანი. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის სტუდენტები, რომლებიც არიან თბილისში და მოახერხეს თსუ-ში მისვლა და ადგილზე საგნების არჩევა — ამით დაიჩაგრნენ რეგიონებში მყოფი სტუდენტები. იგეგმება აქცია 14 სექტემბერს და მოთხოვნა იქნება პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება, რადგან თვითდაფინანსებაზე მყოფი უნივერსიტეტი იძულებულია მიიღოს იმაზე მეტი ბავშვი, ვიდრე ამის რესურსი აქვს და მეორე მოთხოვნა არის ადმინისტრაციის რეფორმირება, რაც გულისხმობს გაბერილი შტატების კვალიფიციური კადრებით ცვლილებას“.

ᲔᲚᲘᲖᲐᲑᲔᲗ ᲒᲔᲒᲔᲜᲐᲕᲐ: „2013 წელს ჩავაბარე უნივერსიტეტში და მახსოვს — როგორ გვპირდებოდა დეკანის მოვალეობის შემსრულებელი წინასწარი რეგისტრაციით ბაზების პრობლემების გადაჭრას, მაგრამ პრობლემები არა მარტო ვერ გადაიჭრა, არამედ ახალიც კი წარმოიშვა: კერძოდ, საგნები, რომლებიც სავალდებულოა (ამას ხაზს ვუსვამ), რომლის ყველა წინაპირობაც გავლილი მქონდა, რატომღაც ჩემი სემესტრისთვის არ აღმოჩნდა გახსნილი და როდესაც არჩევა შესაძლებელი გახდა, რა თქმა უნდა, ყველა ადგილი შევსებული იყო, რამაც გამოიწვია ის, რომ ათობით სტუდენტი ცდილობდა ტუტორებთან მოხვედრას და საგნის ჩასმას სხვადასხვა მექანიზმებით“.

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ პრობლემა მეორადი პროფესიის (ე.წ „მაინორის“) არჩევასთან დაკავშირებით შეექმნა. „წინა სემესტრის ბოლოს ავირჩიე მეორადი პროფესია. „მაინორის“ საგნების არჩევისას, 10 საათზე გაიხსნა ბაზები, თუმცაღა „გაიხსნა“ — ხმამაღალი სიტყვაა. ყველა საგანზე მიწერდა „ადგილები შევსებულია“ და ვერც ერთი საგნის არჩევა ვერ მოვასწარი, მიუხედავად იმისა, რომ 10 საათიდან ვიჯექი კომპიუტერთან. გადავწყვიტე დახმარებისთვის უნივერსიტეტისთვის მიმემართა, სადაც განმიცხადეს, რომ ვერაფერს გააკეთებდნენ და აჯობებდა — თუ „დავივიწყებდი მეორადი პროფესიის გავლას.“ კითხვაზე, მაშ რად მეძლევა არჩევანი, თუ შემდგომ შეუძლებელია ზემოხსენებული სპეციალობის აღება, პასუხი არ მიმიღია. ჩემი აზრით, მეტად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სისტემა ორიენტირებულია კრედიტების დაგროვებაზე და არა ცოდნაზე.

ᲙᲐᲮᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ვაპირებ 14 სექტემბერს აქციაზე მისვლას, რადგან ამ აქციის საშუალებით გამოიხატება პროტესტი პირველ რიგში საგნების არჩევასთან დაკავშირებით და, ზოგადად, უნივერსიტეტში არსებულ სიტუაციაზე“. კახა იმ სტუდენტთაგანია, რომელმაც ვერ შეძლო სასურველი საგნების არჩევა.

მოამზადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა
ᲗᲔᲛᲣᲠ ᲒᲔᲭᲐᲜᲘᲫᲔ

წლის საუკეთესო პედაგოგები

პირველი გვერდიდან

მაია ტორაძე

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თამარ ვეფხვაძის თქმით, გამოკითხვა ლეგიტიმურია და ეფუძნება არა მხოლოდ ლექტორისადმი სტუდენტის ემოციური დამოკიდებულების ფაქტორს, არამედ სიღრმისეულ გამოკითხვას, რომელიც აფასებს მთლიანად საგანს და საგნის წარმმართველ პერსონალს. „შედეგებით კმაყოფილი ვართ, რადგან მასში უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტების 40-პროცენტზე მეტი იყო ჩართული, რაც ურიგო შედეგი არ არის. გამოკითხვის მიზანი გახლდათ სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის გამჟღავნება. გამოკითხვა გულისხმობდა სტუდენტების კმაყოფილების გაზომვას სასწავლო კურსით და ამ კურსის განმახორციელებელი პერსონალით (იქნება ეს ლექციის, სემინარის თუ პრაქტიკული მეცადინეობის წარმმართველი). იგი სიღრმისეულ კითხვარსაც შეიცავს, რის მიხედვითაც შესაძლებელია გარკვეული ხარვეზის გამოვლენა და რეკომენდაციების გაცემა. ამ შედეგების გათვალისწინებით მაქსიმალური ქულების მქონე პედაგოგების გადამოწმება მოხდა, ასევე, კომენტარების ნაწილს გადავხედეთ და მივიღეთ ის სურათი, რაც გვაქვს. ამ ტიპის გამოკითხვების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო პედაგოგების არჩევის ობიექტურობის ხარისხი მეტია, ვიდრე სტუდენტის უბრალო გამოკითხვისა – ვინ მიაჩნია საუკეთესოდ“, — აღნიშნა ქალბატონმა თამარმა ჩვენთან საუბარში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის საუკეთესო პედაგოგებად დასახელდნენ: ქეთევან ჩიტალაძე (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), მარიამ ხოფერია (იურიდიული ფაკულტეტი), რუსუდან ქარსელაძე, თეიმურაზ ჯორბენაძე (მედიცინის ფაკულტეტი), სიმონ წერეთელი, იური პაპავა (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), თამაზ ჯოლოგუა (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), მაია მესტვირიშვილი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი), ნანი გელოვანი, ნინო გოგიაშვილი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი), რომან ხარბედია (ტურიზმის საერთაშორისო სკოლა), ხათუნა გელაშვილი (ენების ცენტრი).

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ დაინტერესდა, რას გრძნობენ სტუდენტების რჩეული პედაგოგები და რამდენად მასტიმულირებელია მათთვის საუკეთესო პედაგოგად დასახელების ფაქტორი.

თამაზ ჯოლოგუა, ***თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი:***

— სტუდენტების ასეთი არჩევანი ჩემთვის სასიამოვნოა და მარწმუნებს, რომ შრომა, რომელსაც უნივერსიტეტში ვეწევი, სასარგებლო შრომაა. ვითვალისწინებ რა ჩვენი ფაკულტეტის აკადემიურ შემადგენლობას — ლოგიკური იქნებოდა, ჩემს ადგილზე სხვა აღმოჩენილიყო (სხვათა შორის, რამდენიმე მათგანის დასახელებაც შემიძლია, მაგრამ დელიკატური თემაა და ამიტომ თავს შევიკავებ). გულწრფელად რომ ვთქვა, ეს არჩევანი ჩემთვის განსაკუთრებული სტიმულის მომცემი არ არის, რადგანაც მასწავლებელი ვარ და დღემდე, ასე ვთქვათ, მაქსიმალურად „სტიმულირებული“ ვმუშაობ. რასაკვირველია, ასე იქნება მომავალშიც — ვიდრე აუდიტორიაში შესვლის სურვილი და საშუალება მექნება.

ამ ეტაპზე ვასწავლი ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შესავალსა და მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას (ბაკალავრიატი), აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას (მაგისტრატურა). „შესავალში“ საკუთარი კვლევის შედეგებს (ვგულისხმობ გამოქვეყნებულ ნაშრომებს) ვერ გამოვიყენებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ სფეროში ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომები პრაქტიკულად არც მაქვს. ამიტომ აქ სხვების ნაშრომებით ვკმაყოფილდები. რაც შეეხება დანარჩენ ორ საგანს, საკუთარი კვლევის შედეგებს მათი სწავლებისას, ცხადია, ვიყენებ. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორია ათეული წლებია ჩემი მეცნიერული და ადამიანური ინტერესების სფეროა. ამას გარდა, მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორია ჩვენთან ისწავლება ჩემ მიერ დაწერილი სახელმძღვანელოთი, რომელიც, ზოგადად ამ ტიპის ტექსტის ბუნებიდან გამომდინარე, საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას კი ეყრდნობა, მაგრამ მასში საკუთარი კვლევის შედეგებიც არის ასახული.

რა კრიტერიუმების მიხედვით შემარჩიეს სტუდენტებმა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი (სხვათა შორის, არც ის ვიცი, საერთოდ რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ ასეთ შემთხვევაში). გამიხარდებოდა, თუ ჩემი სტუდენტები გრძნობენ იმ გულწრფელ პატივისცემას, რომელიც თითოეული მათგანის მიმართ მაქვს, მიუხედავად იმისა, ვიზიარებ თუ არა მათი ცხოვრებისა თუ აზროვნების წესს, ამა თუ იმ შეხედულებას ან პოზიციას. განსხვავებულთა თუ განსხვავებულობათა მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების აუცილებლობაში ჩვენ (მე და სტუდენტი) ადვილად ვთანხმდებით, ეს საქმე ბუნებრივად გამოგვდის და, ჩანს, ახალგაზრდებს ეს მოსწონთ. ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა ჩვენს შორის პოლემიკაში გადაიზრდება ხოლმე და ამ დროს ვცდილობ, მაქსიმალურად იყოს დაცული მხარეთა თანასწორუფლებიანობა. მსიამოვნებს, როცა სტუდენტი თავის სიმართლეში მარწმუნებს. ასე რომ, ვცდილობ, სტუდენტთან ურთიერთობა იყოს პარტნიორული და აქვე ვიტყვი — მე არა მარტო ვასწავლი ახალგაზრდებს, ზოგ რამეს მათგანაც ვსწავლობ.

მაია მესტვირიშვილი, ***თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:***

— სტუდენტთა ეს არჩევანი ჩემთვის ნიშნავს ნდობას და აღიარებას, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი. ყველას სურს იცოდეს, რამდენად ეფექტურია იმ საქმის შედეგი, რაშიც ენერგიას დებს. შესაბამისად, ყველა პროფესორს აინტერესებს, რამდენად აქვს აზრი იმას, რასაც აკეთებს. თუ სტუდენტები კმაყოფილები არიან, ნიშნავს, რომ, ნაწილობრივ მაინც, შენი საქმიანობა გამართლებულია.

ჩემზე ბევრად ძლიერი ლექტორები ასწავლიან ჩვენს ფაკულტეტზე, ამიტომ ეს არჩევანი გამართლების ფაქტორიცაა, რადგან, როგორც ჩანს, გამოკითხვაში მოხვდნენ უმეტესად ის სტუდენტები, ვინც კმაყოფილია ჩემთან მუშაობით.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად დიდი სტიმულის მომცემია ჩემთვის ამგვარი არჩევანი, მიმაჩნია, რომ პოზიტიური უკუკავშირი ყოველთვისაა საქმიანობის მასტიმულირებელი და მიხარია, თუ სტუდენტებს მოსწონთ ჩემთან მუშაობა. ეს ყოველთვის ორმხრივი პროცესია: თუ სტუდენტი იღებს ცოდნას, ვითარდება და სიამოვნებს პროფესორთან ურთიერთობა, შეუძლებელია, პროფესორიც იგივეს არ განიცდიდეს: სტუდენტებთან ურთიერთობა დიდი სიამოვნება, გამოწვევა და პატივია. დღეს ჩვენს ფაკულტეტზე არიან ადამიანები რომლებმაც წლების წინ, ჩემზე, როგორ სტუდენტზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, მათგან ბევრი ვისწავლე და წლებთან ერთად მათთან ურთიერთობა უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ეს ნიშნავს, რომ პროფესორის და სტუდენტის მუშაობა შედგა.

ჩემი საგნები სემესტრების და სასწავლო წლების მიხედვით ვარირებს: ფსიქოლოგიის საფუძვლები, სტიგმა და სტრესი, სელფი და იდენტობა, ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში — ეს ძირითადი კურსებია.

პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს ორი წლის ვადით ვხელმძღვანელობ. ინსტიტუტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს და მიმდინარე წელს ორი კვლევითი გრანტის მოპოვება შეძლო. მე და ჩემი კოლეგები სხვადასხვა თემებზე ვმუშაობთ, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე, სოციალურ იდენტობაზე, მათ დინამიკასა და ტრანსფორმაციაზე, სოციალურ სტრესზე და დაძლევის გზებზე. თუ ჩემი ან ჩემი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები შესაბამისია ლექციის თემატიკასთან, რა თქმა უნდა, მასზე ვსაუბრობ. სწავლების პროცესში უფრო მეტად კვლევის პროცესის გამოცდილების გაზიარებაა მნიშვნელოვანი და თუ პროექტი გვაძლევს საშუალებას, ვცდილობ, უშუალოდ სტუდენტები იყვნენ ჩართულნი ჩვენს კვლევებში.

არ ვიცი, სტუდენტებმა რა კრიტერიუმით მიიღეს გადაწყვეტილება. ჩემი მათთან ურთიერთობის პრინციპი მარტივი და ძალიან ჩვეულებრივია: მნიშვნელოვანია ინტერესის და ცნობისმოყვარეობის გაღვიძება, რადგან დაინტერესებული ადამიანის მოტივირება გაცილებით იოლია. ვცდილობ ფაქტობრივი ცოდნის გადაცემას, მინდა, ისწავლონ კვლევაზე დაფუძნებული ცოდნით „აღიარებული სიმართლის“ გადაფასება, თეორიის და კვლევის ანალიზი, ინტერპრეტაცია, საკუთარი შეხედულებებზე ფიქრი და მათი სწორად წარდგენა, და ბოლოს, ჩემთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ისწავლონ დისკუსიის კულტურა და სხვისი აზრის პატივისცემა. მიხარია, თუ ნაწილობრივ მაინც ვახერხებ ამას ჩემს სტუდენტებთან.

რომან ხარბედია, ***თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლა, ეკონომიკის დოქტორი:***

— ჩემთვის ეს შეფასება ძალიან დიდი სტიმულის მომცემია. ადამიანური თვისებაა, რომ ასეთი შეფასება ყოველთვის გსიამოვნებს. ფუკუიამას აქვს ასეთი ფრაზა – ადამიანი ყოველთვის ცდილობს, რომ ვიღაცამ აღიაროს და შინაგანად მიისწრაფვის ამისკენ. მგონია, რომ ეს მართალია, მით უმეტეს, მაშინ, როცა ლექტორი ხარ. იმაზე დიდი ჯილდო, ვიდრე სტუდენტის აღიარებაა, ლექტორისთვის არ არსებობს. რა არის ამისთვის საჭირო? გიყვარდეს სტუდენტი და აგრძნობინო, რომ მის მიმართ ამ გრძნობას განიცდი.

პირადად მე არასოდეს ვსაყვედურობ მათ, რატომ გააცდინეს ლექცია ან რატომ არ ისწავლეს კონკრეტული საკითხი. მიმაჩნია, რომ საგნით თავად უნდა დაინტერესო ახალგაზრდა. თუ ამას შეძლებ, იგი მოვა და ისწავლის, თუ – ვერა, წავა და სხვაგან გაატარებს დროს. სტუდენტი არ ცდება. იგი გრძნობს, რომ მხოლოდ მოვალეობას არ იხდი, მხოლოდ ლექციაზე დროის გაყვანაზე არ ფიქრობ და ცდილობ, რაც შეიძლება მეტი ასწავლო.

არ ვიცი, რა კრიტერიუმის მიხედვით შემარჩიეს სტუდენტებმა, ვიცი მხოლოდ ის, რომ მე მათ ვასწავლი ისე, როგორც შეიძლებოდა მესწავლებინა საკუთარი შვილებისთვის. სტუდენტი იმ სასწავლო პირამიდის თავშია, რომელსაც უნივერსიტეტი ჰქვია. იგია ყველაზე მთავარი ფიგურა, ჩვენ, დანარჩენი, მას ვემსახურებით და ვალდებული ვართ, განათლების მისაღებად ყველა პირობა შევუქმნათ.

მარიამ ხოფერია, ***იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი:***

— პირველ რიგში, თითოეულ სტუდენტს მადლობას ვუხდი ჩემი შეფასებისთვის. ზოგადად, მიმაჩნია, რომ სტუდენტი არის მომთხოვნი და ობიექტური შემფასებელი. მათი ასეთი არჩევანი ჩემთვის დიდი პატივი და ერთგვარი „ჯილდოა“, რაც მე, როგორც პედაგოგს, მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს, მეტ ენთუზიაზმს მძენს, მიბიძგებს ინტენსიურად ვიმუშაო საკუთარ თავზე, მასალა კიდევ უფრო საინტერესოდ მივაწოდო მათ და განვუვითარო სამართლებრივი ინსტიტუტების რაობის მნიშვნელობის შეფასება-შედარების უნარი. ამ მხრივ, ჩემი საგნებიდან გამომდინარე, მაქვს ძალზე ფართო არეალი მათ დასაინტერესებლად; დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების შედარებით, ისტორიული მაგალითების მოხმობით, პარალელების გავლებით, სამართლის ისტორიის მიმართულებით გამოვკვეთო სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელობა.

ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფებს ვუძღვები შემდეგ დისციპლინებში: რომის სამართლის საფუძვლები, ისლამური სამართალი, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, ქართული სამართლის ისტორია და შესავალი სამართლის ფილოსოფიაში. გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო ჯგუფებში ვმუშაობ, ვხელმძღვანელობ პროფესორის მიერ შედგენილი სილაბუსით.

ასევე მაქსიმალურად ვიყენებ რომის სამართლის წყაროებს და ჩემ მიერ ასოცირებულ პროფესორ მარინა გარიშვილთან თანაავტორობით გამოცემულ ორ სახელმძღვანელოს: „რომის სამართალი“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია“. ასევე, ვიყენებ ჩემ მიერ შედგენილ სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონს.

ვფიქრობ, სტუდენტების არჩევანი განაპირობა რამდენიმე არსებითმა ფაქტორმა: ვცდილობ, თითოეული სტუდენტი დავაინტერესო და შევაყვარო საგანი. სტუდენტებს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩემი საგნებისადმი, დამატებით ვუწევ კონსულტაციას და ზოგჯერ პირადი ბიბლიოთეკიდანაც ვაწვდი ლიტერატურას სხვადასხვა ენაზე. უპირატესობას ვანიჭებ ყოველკვირეულ ზეპირ გამოკითხვას, განვლილი მასალის გამეორებას — მიმაჩნია, რომ ასეთი მეთოდი პირველკურსელ სტუდენტს ეხმარება შეძენილი ცოდნის განმტკიცებაში; მათ ყოველი სემინარის დასრულებისას ვუცხადებ ქულას. სტუდენტებმა იციან, რომ თითოეული მათგანის კოლოკვიუმის ქულა დათქმულ დროს არ გადასცდება (ზოგჯერ დროზე ადრეც აისახება ბაზაში), რისთვის ხშირად მადლობაც მიმიღია მათგან.

მართალია, როგორც ლექტორი, ძალიან მომთხოვნი ვარ, მაგრამ ეს ეფუძნება ობიექტურობას, მეგობრულ დამოკიდებულებას, მათთვის სწორი და კარგი რჩევების მიცემას; არც იუმორთან ვარ მწყრალად, რაც დამატებითი ფაქტორია სტუდენტებთან კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაში. ვფიქრობ, მათი არჩევანი ამ ფაქტორებმა განაპირობეს.

მე-5 გვერდზე

წლის საუკეთესო პედაგოგები

მეოთხე გვერდიდან

ნანი გელოვანი, ***თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:***

— სტუდენტთა ამგვარი შეფასება ჩემთვის ძალიან დიდი სტიმული და პასუხისმგებლობაა და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ სტუდენტს, ვინც ასეთი ნდობა გამომიცხადა. ლექტორისთვის ყველაზე დიდი მოტივაციაა აუდიტორიიდან წამოსული სითბო და ყურადღება, რომელსაც პირადად მე წლების განმავლობაში ვგრძნობ. დამატებით დავასახელებდი კიდევ რამდენიმე ფაქტორს, რაც, ვფიქრობ, სტუდენტებს ჩემთან ურთიერთობას უადვილებს: ეს გახლავთ მათდამი დიდი სიყვარული და კეთილგანწყობა, მათი ინტერესებისა და მოსაზრებების მაქსიმალური გათვალისწინება. ჩემთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ყველა ასპექტი, დაწყებული სტუდენტის აკადემიური მოსწრებიდან, მათი კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებამდე. შესაბამისად, მაქსიმალურად ვცდილობ, დავეხმარო მათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და პროფესიულ ზრდაში.

ნიშანდობლივია ასევე სტუდენტთა მზარდი ინტერესი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისა და ისლამური სამყაროსადმი და შესაბამისად, მრავალრიცხოვანი აუდიტორია (ბაკალავრიატში ვკითხულობ შემდეგ დისციპლინებს: „ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)", „აღმოსავლური კულტურა", „თანამედროვე არაბული ქვეყნები").

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ყველა დისციპლინაში, რომელსაც ვკითხულობ ბაკალავრიატშიც და მაგისტრატურაშიც, შექმნილი მაქვს ელექტრონული კურსები. სალექციო კურსში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურა. თან ერთვის კითხვების ბანკი, აუდიო და ვიდეო მასალა, ელექტრონული რესურსები. ამდენად, რაც სტუდენტს ამა თუ იმ დისციპლინის ასათვისებლად სჭირდება, შეუძლია მოიძიოს ამ ელექტრონულ კურსებში, საგამოცდო საკითხების ჩათვლით. ამასთანავე, მათ შეუძლიათ ჩემგან მიიღონ კონსულტაცია ნებისმიერ დროს.

ჩემი კვლევის თემატიკაა ისლამი და გენდერი ახლო აღმოსავლეთში. ვარ რამდენიმე სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორი თუ თანაავტორი, გამოქვეყნებული მაქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. ამ კვლევების შედეგებს ვიყენებ სწავლების პროცესში.

ნინო გოგიაშვილი, ***ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, პროფესორის ასისტენტი:***

— სიმართლე გითხრათ, ეს შედეგი ჩემთვის მოულოდნელი იყო. დოქტორანტი გახლავართ და გასულ სემესტრში პირველად მქონდა სტუდენტებთან შეხება. წინა სემესტრის დასრულების შემდეგ გამიჩნდა გრძნობა, რომ ჩემი ურთიერთობა სტუდენტებთან შედგა, მაგრამ გამოკითხვის შედეგების გაცნობის შემდეგ სამყარო თითქოს სხვა ფერებში დავინახე. ვგრძნობ, რომ კიდევ მეტი შემიძლია და ახალი ენერგიით ვაპირებ სწავლებას.

სემინარზე შევდიოდი ქალბატონ ქეთი კაკიტელაშვილის საგანზე — „კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია IV-XII საუკუნე". კულტურის კვლევების ცენტრში თავად შემომთავაზეს საათები, როგორც დოქტორანტს. საგანი იმდენად საინტერესო იყო, რომ სტუდენტების მხრიდანაც იგრძნობოდა აქტიურობა. მინდა მადლობა გადავუხადო კულტურის კვლევების ცენტრის თანამშრომლებს და მის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ჩიქოვანს, რომ დიდი სტიმული მომცეს კვლევისა და სწავლებისთვის.

ხათუნა გელაშვილი, ***ენების ცენტრის პედაგოგი:***

— ჩემთვის ეს იყო მოულოდნელი და სასიამოვნო შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, რომ სტუდენტები ჩემ მიმართ კეთილგანწყობილები არიან, ეს შეფასება მაინც დიდი სტიმულის მომცემია, რისთვის მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს.

ზოგადად, სტუდენტის და ლექტორის ურთიერთობაში მარტო სიყვარული არ კმარა. აქ თუ პროფესიონალიზმიც არ არის ჩართული, სტუდენტს მხოლოდ კეთილგანწყობა არ დააკმაყოფილებს. უნდა არსებობდეს მათ შორის ნდობის ფაქტორი და საგნის ინტერესი. ვცდილობ, პოზიტივი გავცე მათ მიმართ. ჩემი მიზანია – სტუდენტმა ლექციის დასასრულს იცოდეს იმაზე მეტი, ვიდრე ლექციაზე შემოსვლის წინ იცოდა. ახალი ამბავი არაა, რომ ახალგაზრდები უნივერსიტეტში მოდიან მაღალი დონის ინგლისურის ცოდნით და ზოგჯერ იგივე ლიტერატურის გავლა უწევთ, რაც ისეც იცოდნენ. ამიტომ ვცდილობ, ეს პროგრამა ისე მივაწოდო, რომ მათთვისაც საინტერესო და სახალისო იყოს. დღევანდელ სტუდენტს მხოლოდ ქულები არ აინტერესებს, მან ცოდნაც უნდა წაიღოს უნივერსიტეტიდან. ამიტომ ვახერხებ იმას, რომ მათთვის ყოველ ჯერზე მქონდეს ახალი და საჭირო მასალა. ვფიქრობ, ჩემი სტუდენტები გრძნობენ ჩემს ამგვარ დამოკიდებულებას საგნისადმი და ამითაც იყო განპირობებული მათი არჩევანი.

ქეთევან ჩიტალაძე, ***ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორის ასისტენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი:***

— პედაგოგისთვის უფრო დიდი ჯილდო, ვიდრე სტუდენტის შეფასებაა, არ არსებობს. დიდი მადლობა ჩემს სტუდენტებს ასეთი ნდობის გამოცხადებისთვის.

პირადად მე ასე მგონია, რომ რაღაც განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. უბრალოდ მიყვარს ჩემი საქმე, მიყვარს სტუდენტებთან ურთიერთობა და ორმაგად სასიხარულოა ჩემთვის თუ ისინიც გრძნობენ ამას. ძირითადად სემინარები მიმყავს და ვცდილობ, თითოეულმა სტუდენტმა, მიუხედავად მათი განსხვავებული უნარებისა, ერთნაირად გაიგოს და შეითვისოს მასალა. ამ პროცესში მხოლოდ სიმკაცრე, რა თქმა უნდა, არ იქნება სასურველი შედეგის მომტანი, მე უპირატესობას უფრო ობიექტურობასა და წამახალისებელ მომთხოვნელობას ვანიჭებ. საგანი, რომლის სემინარზეც შევდივარ — „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-1", არ არის მარტივად აღსაქმელი და დამატებით ძალისხმევას საჭიროებს რომ სტუდენტს ხელში დაზეპირებული მასალა არ შერჩეს. მიხარია, რომ ისინი გრძნობენ ჩემს დამოკიდებულებას.

რუსუდან ქარსელაძე, ***მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:***

— ეს ჩემთვის დიდი ჯილდოა, რადგან საოცრად მიყვარს სტუდენტები. კლინიკური საქმიანობა (პედიატრია) იმდენად მძიმეა, რომ სტუდენტებთან ურთიერთობა ერთგვარ ნათელ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ. მიყვარს მათთვის იმ გამოცდილების და ცოდნის გაზიარება, რაც ჩემი კლინიკური საქმიანობის დროს დავაგროვე. ამ საქმეში მთელ სულს და გულს ვაქსოვ — არასოდეს შევდივარ ლექციაზე წინასწარ მომზადებული საკითხებით და ყოველთვის ვცდილობ არ გამოვტოვო მცირე სიახლეც კი. ცხადია, საგნის ფუნდამენტი იგივე რჩება, მაგრამ მასალას მუდმივად ვაახლებ. ალბათ ეს დაინახეს ჩემმა სტუდენტებმა, რაც ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

უნდა აღვნიშნო — მიუხედავად იმისა, რომ თავად სამედიცინო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის დიდი გულშემატკივარი ვარ და ვიყავი ყოველთვის. მეტიც – ვოცნებობდი აქ სწავლაზე და ბიოფიზიკის ფაკულტეტი მინდოდა, მაგრამ მერე ბავშვების სიყვარულმა გადამძალა და პედიატრიაში წავედი. იმ კათედრას, რომელსაც ახლა მე ვხელმძღვანელობ მედიცინის ფაკულტეტზე, ბუმბერაზი ადამიანები ედგნენ სათავეში და ეს ორმაგად საპასუხისმგებლოა ჩემთვის. იცით, რომ მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება სპეციფიკურია. აქ კლინიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ უნდა აჩვენო მთელი სიძნელე, რაც ამ სფეროშია და მერე უნდა შეაყვარო სპეციალობა ისე, რომ ახალგაზრდას პედიატრობა მოუნდეს.

კლინიკური სწავლების ძალიან ბევრ მეთოდს გავეცანი და ჩემი სილაბუსიც ისე ავაგე, რომ სტუდენტისთვის სწავლა საინტერესო იყოს. მაგალითად, პირველივე შეხვედრაზე ვთხოვ მათ, რომ იმ ბაზისური ცოდნით, რითაც ჩემთან მოდიან პედიატრიაში, დასვან დიაგნოზი და გამოკვეთონ, რომელი ჯგუფის პრეპარატს დანიშნავენ. იმდენად ამახსოვრდებათ შეცდომა, რომელსაც უშვებენ, რომ მუდმივად ცდილობენ, მომავალში იგივე აღარ დაემართოთ. ძალიან მიხარია, რომ თავიდან, როცა მოდიან და ვეკითხები ვის სურს პედიატრობა, ერთი-ორი თუ ასწევს ხელს, სემესტრის ბოლოს კი მსურველთა რაოდენობა სამმაგდება.

მომთხოვნი ვარ. ეს ისეთი სპეციალობაა, სადაც კომპრომისი ცოდნასთან მიმართებაში არ შეიძლება — ხვალ მათთან ნებისმიერი ჩვენგანის შვილი ან შვილიშვილი შეიძლება მოხვდეს, ამდენად, თუ ახლავე არ ისწავლა ის რაც ფუნდამენტურია, მერე ამას ვეღარ დაეწევიან.

ცხადია, სწავლის პროცესში ჩართული მაქვს ჩემი კვლევის შედეგებიც. ვიკვლევ გენეტიკას, სადაც საჭიროა ჩავრთო ის მონაცემები, რაც მაქვს და მათაც ვუზიარებ. ბედნიერი ვარ, რომ სტუდენტებს ეს საგანი ძალიან აინტერესებთ და მას არა მხოლოდ მედიკოსები, არამედ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც ირჩევენ.

თეიმურაზ ჯორბენაძე, ***მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:***

— დიდი ხანია უკვე ვასწავლი უნივერსიტეტში. საკმაოდ ბევრი სტუდენტი გავზარდე და თამამად შემიძლია ვთქვა, საუკეთესო პედაგოგად დასახელება არის ძალიან დიდი პატივი და სიამაყის გრძნობა. მადლობა ჩვენს სტუდენტებს, რომ ასე შეაფასეს ჩემი მათდამი დამოკიდებულება და პედაგოგიური საქმიანობა.

სტუდენტი უნდა გრძნობდეს, რომ ის გიყვარს. არაფრით არ შეიძლება მას აგრძნობინო, რომ შენ მასზე დიდი ხარ. ის შენი თანატოლია, უბრალოდ, შენ მეტი გამოცდილება გაქვს და ამ გამოცდილებას გადასცემ მას.

დიდი ხანია უკვე ვკითხულობ პათოლოგანატომიური გაკვეთის კურსს, სასამართლო მედიცინას, პათოლოგიურ ანატომიას, პათოლოგიურ ფიზიოლოგიას. ზოგს აინტერესებს ეს საგნები, ზოგს — არა, მაგრამ ვცდილობ ერთნაირად დავაინტერესო. მადლობა ღმერთს, შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს და სამართლიანობის გრძნობა არ ღალატობთ. მათ შესანიშნავად იციან, რა სჭირდებათ.

რაც შეეხება მეთოდებს, არ მგონია, რომ ამ თაობასთან სიმკაცრე ამართლებდეს. მათთან სხვა მიდგომა და ტაქტია საჭირო. ცხადია, არც დაუსჯელობის სინდრომი უნდა გაჩნდეს, მაგრამ ყველა შენიშვნა ურთიერთგაგების ატმოსფეროში უნდა მიეცეთ, რომ მათ შემდეგში ცოდნის გაღრმავების სურვილი გაუჩნდეთ. სიმკაცრეს თავისი დოზა აქვს, მან სტიმული არ უნდა დაუკარგოს სტუდენტს.

იური პაპავა, ***ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:***



— ამ შედეგების გაცნობის შემდეგ კაცი იფიქრებს, რომ ტყუილად არ გიცხოვრია. სტუდენტის შეფასება სხვაა და კოლეგების შეფასება — სხვა. ჩემთვის ორივე მნიშვნელოვანია, თუმცა სტუდენტი – მთელი ჩემი ცხოვრებაა და მათი არჩევანი ორმაგად სასიხარულოა.

ჩემი პედაგოგიური პრინციპები რამდენიმე პუნქტს მოიცავს: 1) სტუდენტი ყოველთვის მართალია. შესაძლოა მასთან ურთიერთობაში ემოციური სიტუაციაც შეიქმნას, მაგრამ ლექტორი ემოციას არ უნდა აჰყვეს; 2) არასოდეს აგრძნობინო სტუდენტს,

მე-6 გვერდზე

წლის საუკეთესო პედაგოგები

მეხუთე გვერდიდან

რომ შენ სადღაც ზემოთ ხარ და იგი დაბლაა. უნდა ცდილობდე, სტუდენტმა დაინახოს, რომ შენ დაინტერესებული ხარ მისთვის ცოდნის მიცემით. ანუ მოვალეობის მოხდის მიზნით კი არა, რეალურად უნდა ასწავლო და გააგებინო; 3) არასოდეს ეცადო, პოპულარობა მოიპოვო მოთხოვნის ხარისხის თამასის დაწევით. შენ თუ ნახევარ ლექციას ანეკდოტების მოყოლაში გაატარებ, სტუდენტის პატივისცემას ვერასოდეს დაიმსახურებ. აქ მინდა გავიხსენო, რომ, წლების წინ, როცა პირველად ჩატარდა ასეთი გამოკითხვა, საუკეთესოს წოდება მოიპოვა ყველაზე მკაცრმა ლექტორმა, ოთარ ნაფეტვარიძემ, რომლის საგნითაც უნივერსიტეტიდან ყველაზე მეტი სტუდენტი ირიცხებოდა. უბრალოდ, ახალგაზრდებმა დაინახეს მასში ადამიანი, რომელიც ცდილობდა მეტი რამ ესწავლებინა მათთვის სპეციალობაში. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ამ სიბერის ჟამს ძალიან დიდი სტიმული მომცა ამ შეფასებამ, მიუხედავად იმისა, რომ წინა სემესტრში ცოტა სტუდენტთან მქონდა შეხება.

სიმონ წერეთელი, *ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:*

— სტუდენტის შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანია და როცა საუკეთესო ლექტორად გასახელებს, ამაზე დიდი და საამაყო შეგრძნება არ არსებობს. მადლობელი ვარ ამისთვის ჩემი სტუდენტების. მიუხედავად ასაკისა, ეს ჩემთვის იმდენად დიდი სტიმულის მომცემია, რომ ენერგია მომემატა.

ვფიქრობ, სტუდენტი ყველაზე კარგად გრძნობს შენს დამოკიდებულებას. იგი ხედავდეს შენს პროფესიონალიზმს და თავდადებას. მე არასოდეს დამიზოგავს დრო მათთან ურთიერთობაში, ყოველთვის მზად ვარ, დავეხმარო საკითხის შესწავლაში და ნებისმიერი გზით ავუხსნა მისთვის რთული ამოცანა. როგორც ჩანს, ეს დააფასეს.

საკმაოდ რთულ საგნებს ვკითხულობ. ესენია: გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა, სუბატომური ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა, ფიზიკა ეკოლოგებისათვის, რადიაციული ეკოლოგია და სხვა. ბევრს სჭირდება დახმარება, მაგრამ არასოდეს მაქვს ჩასაფრებულის პოზიცია. საერთოდაც, არ მომწონს ძალიან მკაცრი ლექტორები. მიმაჩნია, რომ უნდა იყო სამართლიანი და ობიექტური, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თუ რამე ვერ გაიგო ახალგაზრდამ, უნდა დაუჯდე, ასწავლო და მერე მოსთხოვო, მით უფრო, რომ დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა — არ არის საკმარისი რაოდენობით წიგნები ნათარგმნი, გაძნელებულია მათზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

კიდევ ერთი მასტიმულირებელი ფაქტორი ჩემთვის არის ის, რომ უდიდესი მეცნიერები მასწავლიდნენ. არასოდეს დამავიწყდება მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი და ჩემი მისაბაძი მაგალითი — გივი ნიკობაძე (დღეს ის 80 წელსაა გადაცილებული), ასევე ანზორ ხელაშვილი – შესანიშნავი პედაგოგი და მეცნიერი. მე ვისურვებდი, როგორც გადმომეცა მათგან ესტაფეტა, ასევე გადაგვებარებინა ის ახალგაზრდობისთვის.

საზაფხულო სკოლა წელს ინოვაციური სახით განხორციელდა

საზაფხულო პროგრამები ახალგაზრდებისთვის მთელს მსოფლიოში ძალზე პოპულარულია. საზაფხულო სკოლის პროგრამა (თუმცა ასეთი პროგრამები ზამთრისა და სააღდგომო არდადეგების პერიოდშიც არსებობს) მოიცავს ენის შესწავლას, სხვადასხვა სპორტულ, გასართობ ღონისძიებებსა და ექსკურსიებს. სკოლებისა და პროგრამების არჩევანი ძალიან ფართოა.

საზაფხულო სკოლის მიზანია ყოველი სტუდენტის ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. სტუდენტები აქ სახალისო და, ამავდროულად, აკადემიურად დატვირთულ გამოცდილებას იღებენ. ჯგუფური მუშაობა, მოკლე ლექციები, დებატები, პრეზენტაციები, ლაბორატორიული სამუშაოები, სპორტული შეჯიბრებები და ინტელექტუალური თამაშები ხელს უწყობს ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავებას, უნარჩვევების გამომუშავებას და მიზნად ისახავს კრიტიკულად მოაზროვნე, დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებას.

უკვე 22 წელი შესრულდა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი არსებობს, რომელიც დღემდე უწყვეტად ემსახურება ქართველოლოგიური საქმიანობის უცხოეთში გატანის და საზღვარგარეთის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრის ქართველოლოგიით დაინტერესების საქმეს. „ცენტრი“ მნიშვნელოვან პროგრამებს ახორციელებს, ესენია: კვლევითი სამეცნიერო პროექტები, საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზება და მისი მასალების ბეჭდვა, ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა, ორენოვანი ქართველოლოგიური ჟურნალის გამოცემა და სხვ.

ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის ერთ-ერთი ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა ყოველწლიური საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის ორგანიზებაა. სკოლის არსებობის მანძილზე მასში დაახლოებით 200 უცხოელი ახალგაზრდა მონაწილეობდა — ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან, ნორვეგიიდან, შვეციიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, ფინეთიდან, ისლანდიიდან, ისრაელიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან, ავსტრალიიდან, თურქეთიდან, ირლანდიიდან, ირანიდან... ბევრი მათგანი დღეს მოღვაწეობს საზღვარგარეთ, როგორც მეცნიერ-ქართველოლოგი, ქართველოლოგი-პოლიტმიმომხილველი და ა.შ.

სკოლის ძირითადი დამფინანსებელია ქართველოლოგიური სკოლის ფონდი, რომელიც არსებობს ქველმოქმედებითა და შემოწირულობებით შემოსული სახსრებით. ქართველოლოგიური სკოლის ცენტრისა და ფონდის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახლავთ აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე, რომელიც საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის მიზნებსა და მიმართულებებზე საუბრობს, ასევე მოგვითხრობს წელს საზაფხულო სკოლის წარმატებით განხორციელებულ ინოვაციურ პროექტზე, რომელმაც არა მარტო უცხოელი, არამედ ქართველი სტუდენტების დიდი ინტერესიც გამოიწვია.

ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი:

— საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა მოწოდებულია, რომ უცხოელ ახალგაზრდებს ასწავლოს როგორც ქართული ენა, ასევე მისცეს სრული ინფორმაცია ქართველოლოგიურ დისციპლინებზე. იგი ამზადებს სრულფასოვან კადრებს ქართველოლოგიაში. სტუდენტებს შეუძლიათ მოისმინონ ცნობილი ქართველი მეცნიერ-პროფესორების ლექციები ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში. სკოლის უცხოელ მსმენელთა რაოდენობა თითოეული წლისთვის განსაზღვრულია არა უმეტეს 8-10 მონაწილით. საზაფხულო სკოლის ხანგრძლივობაა 5 კვირა. სკოლის სწავლებას უძღვება ორი პედაგოგი და რამდენიმე ასისტენტი.

აღსანიშნავია, რომ საზაფხულო სკოლა წელს ინოვაციური სახით განხორციელდა, რაც გულისხმობდა უცხოელ სტუდენტებთან ერთად იმ ქართველი სტუდენტების მონაწილეობასაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართველოლოგიური მეცნიერებით და სამომავლოდაც, სწორედ ამ მიმართულებით აპირებენ მუშაობის გაგრძელებას. საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის ორგანიზების ფინანსურ მხარდაჭერას ყოველწლიურად ქართველოლოგიური სკოლის ფონდის გარდა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფო ერთეული ან საქველმოქმედო საზოგადოება ახორციელებს. ასეთებია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი — რუსთაველის ფონდი, ღია საზოგადოება საქართველო. წელს საზაფხულო სკოლას ფინანსური მხარდაჭერა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ქართველოლოგიურ სკოლის ფონდთან ერთად, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმაც გაუწია.

სკოლის მუშაობის ერთი ძირითადი მიმართულებაა კულტურული პროგრამა: საზაფხულო სკოლის უცხოელი მსმენელები ეცნობიან საქართველოს ძველ და თანამედროვე კულტურულ ცხოვრებას, ყოველი კვირის ბოლოს იგეგმებოდა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, იმერეთში, კახეთში, კავკასიის მთიანეთში და ა.შ.

წლევანდელმა საპილოტო პროგრამამ ნამდვილად გაამართლა. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, უცხოელი და ქართველ სტუდენტები ერთად მუშაობდნენ — მიმდინარეობდა ერთობლივი მეცადინეობები, ექსპედიციები. ასეთმა გარემომ უცხოელ სტუდენტებს გაუადვილა ქართული ენის შესწავლა და ქვეყნის კულტურის ახლოს გაცნობა.

მიმდინარე წლის საზაფხულო სკოლაში 5 უცხოელი და 3 ქართველი მსმენელი ჩაირიცხა. უცხოელი მსმენელები იყვნენ: იზაბელ დიუმა, კინომცოდნე, რომელიც მუშაობდა პარიზში, პომპიდუს ცენტრში, კინოდეპარტამენტში. იზაბელი ქართული ენის უკეთ დაუფლების მიზნით წელს მეორედ იყო საზაფხულო სკოლის მონაწილე, იგი ცდილობს ფრანგულ ენაზე თარგმნოს ქართული თანამედროვე ბესტსელერები. ერთ-ერთი უცხოელი მსმენელი ირლანდიიდან დეივიდ ლონერგანია, რომელიც დუბლინში ქართული მართლმადიდებლური ტაძრის დეკანოზია. დეივიდის სურვილი იყო, თავის მრევლთან ქართულად ენაზე ესაუბრა. მაიკლ ლენტნერი - მიუხენის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მაგისტრანტია. მაიკლი რამდენჯერმე იყო საქართველოში და ძველი ქართული ენის შესწავლით არის დაინტერესებული. ლინგვისტი ჰანა სენდბორგი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, რომელიც ქართული ენისა და კულტურის შესწავლას დიდ დროს უთმობს.

სკოლის მონაწილე სტუდენტებისთვის ლექციები წაიკითხეს ცნობილმა ქართველმა პროფესორებმა: მარიამ ლორთქიფანიძემ, მზექალა შანიძემ, რისმაგ გორდეზიანმა, ელგუჯა ხინთიბიძემ, ვახტანგ ლიჩელმა, ქეთევან სიხარულიძემ, ზაზა სხირტლაძემ, ქეთევან ხუციშვილმა და თამარ მესხმა.

6 აგვისტოს თსუ-ში მოეწყო დასკვნითი საღამო, სადაც სკოლის ორგანიზატორებმა შემაჯამებელი პრეზენტაცია წარმოადგინეს. სიტყვით გამოვიდნენ სკოლის უცხოელი და ქართველი მონაწილეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე, საზაფხულო სკოლის აკადემიური ხელმძღვანელი — პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე და სკოლის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი.

ქართველოლოგიური სკოლის ფონდი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, ქართველოლოგიის საერთაშორისო დისციპლინად დამკვიდრებას, ახალგაზრდა თაობის აღზრდას ქართველოლოგიური მეცნიერების მომავალ სპეციალისტებად.

მოამზადა
თამარ დადიანმა

„დოიჩე ველე აკადემიის“ ფინანსური მხარდაჭერით თსუ-ში სასემინარო დარბაზი მოეწყო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მედია განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის — „დოიჩე ველე აკადემიას“ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ახალი სასწავლო წლიდან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს და პროფესორებს განახლებული, ახალი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სასემინარო დარბაზი დახვდებათ. თსუ-ის VI აკადემიურ კორპუსში დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოცულობამ 15 ათასი ევრო შეადგინა.

„დოიჩე ველე აკადემია“ გერმანიაში მედიის განვითარების მიმართულებით მომუშავე წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც მხარს უჭერს თავისუფალ მედიას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. „2014 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩვენ ძალიან წარმატებული თანამშრომლობა დავიწყეთ“, — აღნიშნავს აკადემიის რეგიონალური კოორდინატორი, აზიის და ევროპის განყოფილების ვიცე-დირექტორი ბეტინა რუიჯესი. „ამ თანამშრომლობის ფარგლებში, მხარს ვუჭერთ მომავალი ჟურნალისტების აკადემიურ განათლებას. ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ ჟურნალისტიკის მიმართულებაზე არსებული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამებოდა თავად პროფესორების და სტუდენტების სამუშაოს და გამოცდილებას. სწორედ ამიტომ, „დოიჩე ველე აკადემიისთვის“ მნიშვნელოვანია სასემინარო აუდიტორიის რეკონსტრუქციის დაფინანსება, რომლის მიზანია განათლების მაღალი ხარისხის მხარდაჭერა თსუ-ში“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ბეტინამ.

ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ გერსამია აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა, „დოიჩე ველე აკადემია“ გვეხმარება ინტერდისციპლინური კონფერენციების ორგანიზებაში, კურიკულუმის დახვეწაში, სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების გამოცემაში და სხვ. ჩვენს უნივერსიტეტს ძალიან სჭირდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა როგორც დონორების, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან. მინდა მადლობა გადავუხადო „დოიჩე ველე აკადემიას“, მის წარმომადგენლებს ამ მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობა რექტორს ვლადიმერ პაპავას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს დავით ჩომახიძეს თანადგომისთვის“, — აღნიშნა მარიამ გერსამიამ.

„დოიჩე ველე აკადემია“ მომავალშიც გეგმავს უნივერსიტეტში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას.

მოამზადა
მაია ტორაძემ

ახალი სახელმძღვანელო — „ხალხთა მიგრაციები“

კაცობრიობის არსებობის მუდმივად თანმდევი პროცესი — ხალხთა მიგრაცია — თანამედროვე მსოფლიოსთვის განსაკუთრებულად აქტუალურია. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ ***როლანდ თოფჩიშვილის*** *ახალი — VIII სახელმძღვანელო — სწორედ ამ საკითხების კვლევას და ანალიზს ეძღვნება.*



„მიგრაციის შემსწავლელი მეცნიერები კაცობრიობის ისტორიას „მიგრაციის ისტორიასაც“ უწოდებენ. მიგრაციები განაპირობებდა კულტურულ კონტაქტებს, იდეების გავრცელებასა და, რაც მთავარია, ახალი ეთნოსების წარმოქმნას. თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური რუკა განსხვავდება ძველი მსოფლიოს ეთნიკური რუკისგან: ხალხები (ეთნოსები) მთელი ისტორიის მანძილზე იცვლებოდნენ, ომების და დაპყრობების შემდეგ ეთნოსები ერთმანეთს ერწყმოდნენ... დროდადრო იცვლებოდა მსოფლიო ეთნიკური რუკაც. ეთნიკური ვითარების ცვლილებაში ლომის წილი სწორედ ხალხთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაადგილებაზე მოდის“, — აღნიშნავს როლანდ თოფჩიშვილი ამ საკითხზე საუბრისას.

სალექციო კურსი — „ხალხთა მიგრაციები“, რომელიც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვისაც მეტად საინტერესო იქნება. როგორც თავად წიგნის ავტორი აღნიშნავს, მიგრაციების შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ისინი მოსახლეობის გადასახლებას ეძღვნება, ეთნიკური მიგრაციების შესახებ დაწერილი წიგნები კი იშვიათობაა. სწორედ ამ კუთხით განიხილავს ავტორი მიგრაციის პროცესებს და მის მნიშვნელობაზე საუბრობს.

სახელმძღვანელო 3 ნაწილისაგან შედგება: ხალხთა მიგრაციები, მსოფლიოს ხალხთა მიგრაციები და შიდა და გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში. წიგნში განხილულია — თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხთა მიგრაციებს, რა პროცესები მიმდინარეობდა მსოფლიოში ოდითგანვე და რა მდგომარეობაა დღეს ამ კუთხით.

მიგრაციას სხვა მეცნიერებიც სწავლობენ, მაგრამ ისინი სულ სხვა კონტექსტში განიხილავენ ამ პროცესს. კერძოდ, ძირითადად, მათი კვლევის საგანი მოსახლეობის მიგრაციაა, ისტორიკოსები და ეთნოლოგები კი სწავლობენ ხალხთა მიგრაციას, ეთნოსებს: სწორედ ამ კუთხით არის განხილული წიგნში ბერძენთა, ებრაელთა, სლავების, ირანელების, სომეხთა, იეზიდების, გერმანელთა, რუსების, ლეკების, ოსთა და სხვა ხალხების (ეთნოსების) მიგრაციული პროცესები. რა თქმა უნდა, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

„მიგრაციების შედეგად ხდება ახალი ხალხების ჩამოყალიბება, ასიმილაციური პროცესები: ერთი ხალხის და ეთნოსის გაქრობა. თანამედროვე ევროპის ხალხები და ეთნოსები სწორედ ასეთი მიგრაციების შედეგად წარმოიქმნენ. ეს პროცესები დღესაც მიმდინარეობს და, შესაძლოა, ამას საშიში ტენდენციებიც მოჰყვეს. მაგალითად, საშიში ტენდენციაა ის, რომ საქართველო იცლება მოსახლეობისგან, გარემიგრაციული პროცესები აქტიურად მიმდინარეობს, რაც ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებელი არ იყო (ისტორიულად არა მხოლოდ ცალკეული ადამიანები გადასახლდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, არამედ, ეთნოსებისა და ეთნიკური ჯგუფების მიგრაციაც ხდებოდა). ხალხთა მიგრაციები, ხშირ შემთხვევაში, ეთნიკური ცვლილებების საფუძვლადაც იქცეოდა. სახელმძღვანელოში მთელი პლანეტის მოსახლეობისთვის, სხვადასხვა ხალხებისთვის დამახასიათებელ მიგრაციულ პროცესებზეა საუბარი. ისტორიულად მიმდინარე მიგრაციული პროცესების შესწავლის



ძირითადი მიზანი კი მომავლის უკეთესად განჭვრეტას ემსახურება. სწორედ ამიტომ ეკითხებათ „ხალხთა მიგრაციების“ სალექციო კურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს. წიგნში, მართალია, მსოფლიოს ხალხთა მიგრაციული პროცესები სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, მაგრამ თუ ამას მომავალი თაობა შეძლებს, ეს ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეს მოემსახურება — წარსულის შესწავლა ხომ უკეთესად დაგვანახებს როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში მიმდინარე თანამედროვე მიგრაციულ პროცესებს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გარემიგრაციული პროცესები რეალური საფრთხის წინაშე აყენებს ქართველი ერის მომავალს — არსებული ვითარების შენარჩუნების შემთხვევაში მას გაქრობის საფრთხე ელის. დღეს საქართველოდან, დაახლოებით, მილიონნახევარი ადამიანია გასული და ეს რიცხვი კატასტროფულად იმატებს. რა შედეგები მოჰყვება ამას მომავალში, ალბათ ადვილი გამოსაცნობია", — აღნიშნავს პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი.

აღსანიშნავია, რომ დღეს ეთნოლოგია ერთერთ წამყვან დარგად ითვლება მსოფლიოში, სწორედ როლანდ თოფჩიშვილის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ მშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებიდან შეისწავლონ ეს დარგი. „საქართველოს ეთნოლოგია“, „კავკასიის ეთნოლოგია“, „ამერიკის ეთნოლოგია“, „თეორიული ეთნოლოგია“, „სახელების ეთნოლოგია და ისტორია“, „ევროპის ეთნოლოგია“ „ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“, „ხალხთა მიგრაციები“ — ეს ის სახელმძღვანელოებია, რომელიც პროფესორმა როლანდ თოფჩიშვილმა დაწერა თავისი მოღვაწეობის მანძილზე.

„ხალხთა მიგრაციები“ ჩემი მერვე სახელმძღვანელოა, ჩემი მთავარი მიზანი, რაც უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ, სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების შექმნაა. იყო დრო, როდესაც ეთნოლოგიის მიმართულებაზე სახელმძღვანელო არ არსებობდა. ჩემი აზრით, უფროსი თაობის მოვალეობა სწორედ იმ გამოცდილების გაზიარებაა, რაც წლების მანძილზე დაგვიგროვდა. ამისთვის კი საუკეთესო გზა სახელმძღვანელოების შექმნაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს უნდა ჰქონდეს სახელმძღვანელო თავის მშობლიურ ენაზე“, — აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

მოამზადა
შურთხია ბეროშვილმა

უცნაურ წარწერებიანი ქვა ჩხოროწყუს მუზეუმიდან

ივლისში თსუ-ის გეოგრაფიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტების ერთობლივი ექსპედიცია იმყოფებოდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში. სამეგრელოს რეგიონის მრავალი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების (მღვიმეები, ჩანჩქერები, გადაადგილებული ლოდები, კანიონები და სხვ.) მონახულების გარდა, ექსპედიციის წევრებს ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის თანამშრომელმა ბატონმა იგორ ფიჩხაიამ აჩვენა მეტად საინტერესო გეოლოგიური ნიმუში, რომელიც 1986 წელს არის ნაპოვნი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ე. წ. ლეჟას უბანში, ადგილობრივი მოსახლის დურუ ილარიონის ძე კვარაცხელიას მიერ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დამუშავებისას.

გეოლოგიური ნიმუში წარმოადგენს მოწითალო-ოქროსფერი, გაქვავებული ხის იმიტაციის მქონე 40 სმ სიგრძისა და 10-15 სმ სიმაღლის ქანის ლოდს, რომელიც ყურადღებას იქცევს საკმაოდ მაღალ დონეზე გაშლიფული და მოკრიალებული ზედაპირით. მის ოთხივე გვერდზე ამოტვიფრულია უცნაური წარწერები და იეროგლიფის მსგავსი ან სპირალური ფორმის ნახაზები.

ნიმუშის ვიზუალური დათვალიერებით მისი შედგენილობა, სტრუქტურა და ტექსტურა არ იკითხება. პროფესორ ემილ წერეთელის აზრით, გარეგნულად შეუძლებელია ქანის რაობის დადგენა და საჭიროა მისი პეტროქიმიური შესწავლა. ამასთან ნიმუში ისეთი სიმძიმისაა (11.630 კგ), რომ ამ მოცულობის არც ერთი სახის ქანი — ეს იქნება დანალექი, მაგმური თუ მეტამორფული, ამ წონას არ შეეფერება. იგი წარმოადგენს ძლიერ მაღალი სიმტკიცისა და მდგრადობის, მაღალი კუთრი წონისა და დაბალი ფორიანობის კლდოვანი თვისებების მქონე ქანს. შესაძლებელია და მოსალოდნელიცაა იგი მძიმე მეტალებს შეიცავდეს.

ასევე საინტერესოა მისი დღემდე ამოუცნობი და გაუშიფრავი წარწერები, ნახაზები და ნახატები. როგორც ბატონმა იგორმა აგვიხსნა, აღნიშნული ქვა რამდენიმე მეცნიერმა დაათვალიერა, თუმცა წარწერების ამოცნობა და მისი არსებითი განმარტება დღემდე დაუდგენელია.

მსგავსი უცნაურ წარწერებიანი და ათეულ ათასობით წლის წინანდელი ქვები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია ნაპოვნი. მათი უმრავლესობის ზედაპირზე ჩანაწერების გაშიფვრა და წარწერების ამოცნობა ძალზე ჭირს, ხოლო გაშიფრული ტექსტების საჯაროდ განხილვაზე შესაბამისი უწყებები ყოველთვის თავს იკავებენ. ჩვენს შემთხვევაშიც ჩხოროწყუს ქვას გონიერი ადამიანის ხელი ეტყობა, რადგან დიდი ოსტატობით დამუშავებულ ქვის ზედაპირზე სპირალური და უცნაური იეროგლიფებით შესრულებული ჩანაწერებია დატანილი.

საყოველთაოდაა ცნობილი ჩინეთის ერთერთ მღვიმეში მიკვლეული უცნაურ წარწერებიანი ქვების ისტორია, რომელთა გაშიფვრას მეცნიერთა ჯგუფმა რამდენიმე ათეული წელი მოანდომა. წარწერებში მოთხრობილია ე.წ. „დროპას ხალხისა“ და იმ კოსმოსური ხომალდის ისტორია, რომელიც დედამიწაზე შორეული პლანეტიდან მოფრინდა. ეს ისტორია შეიძლება შორს იყოს სამეგრელოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვის ისტორიისგან, თუმცა გამორიცხული არაფერია.

სასურველია, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ დაინტერესდნენ სათანადო დარგის სპეციალისტები, შეისწავლონ აღნიშნული ნიმუში (ქვა), მასზე ამოტვიფრული წარწერები და ნახაზები.

ნანა ბოლაშვილი,
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მ/შ





 კონფერენცია

ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი მრავალფეროვან და აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები საინტერესო კვლევებს აწარმოებენ თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების შესახებ, რაც არაერთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალში ჰპოვებს ასახვას.

10-11 ივლისს ამ ინსტიტუტმა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გამართა, რომელშიც, ქართველებთან ერთად, რუსი და პოლონელი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

კონფერენციის თემა იყო „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. კონფერენციის მასალები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა.

მაია ტორაძე

კონფერენციაზე, პლენარული მოხსენებების გარდა, მუშაობა მიმდინარეობდა ეკონომიკური თეორიის, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, მაკროეკონომიკის, მაკროეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსებისა და საბანკო საქმის, მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემებისა და სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების სექციები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე დოქტორანტურის, მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტები.

წარმოდგენილი პლენარული მოხსენებებიდან დიდი ინტერესი გამოიწვია თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას მოხსენებამ „ლიბერტარიანიზმის ქართული მოდელი“ (აღნიშნული მასალა სამეცნიერო კრებულში დასტამბულია ლადო პაპავასა და თამარ თაფლაძის ავტორობით), რომელშიც მან ისაუბრა ქართულ ეკონომიკაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დამკვიდრებულ ტენდენციებზე და თავისებურებებზე. დაწვრილებით მიმოიხილა 2003 წლიდან დაწყებული რეფორმები და რამდენიმე ძირითად მახასიათებელზე გაამახვილა ყურადღება: ქართული „ლიბერტარიანული“ მოდელის გაუხმაურებელი მიდგომა ეფუძნება პრინციპს: „ლიბერტარიანიზმი“ მხოლოდ საკუთარი ბიზნესისთვის; „ქართველ „ლიბერტარიანელები“ ჭეშმარიტი ლიბერტარიანელებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ქართველებს ლიბერტარიანიზმი ეკონომიკური ცოდნიდან გამომდინარე კი არ აქვთ არჩეული, არამედ პირიქით, მათთვის ლიბერტარიანიზმი არის ნიღაბი, რათა დამალონ თავიანთი ეკონომიკური გაუნათლებლობა; ქართველი „ლიბერტარიანელები“ ეწევიან ანტირუსულ პროპაგანდას, რეალურად კი ხელს უწყობენ საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსვლას, რისი თვალსაჩინო მაგალითიც იყო: 2005 წელს ერთერთი პრივატიზებული ქართული ბანკის საკონტროლო პაკეტის შეძენა რუსული სახელმწიფო ბანკის „ვითიბი“-ს მიერ (რის შემდეგაც მოხდა კერძო ქართული ბანკის ნაციონალიზაცია რუსეთის მიერ); 2008 წელს საქართველოს მთავრობის მიერ რუსული კომპანიის „ინტერ-რაო“-სთვის ორი ჰესის მიყიდვა; 2006 წელს საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთთან დაწყებული მოლაპარაკება საბჭოთა პერიოდში აშენებული მაგისტრალური გაზსადენის (საქართველოს გავლით სომხეთისკენ) მიყიდვის თაობაზე, რომელიც მხოლოდ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ზეწოლით ჩაიშალა და სხვ. „სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, სადაც ფსევდოლიბერტარიანული ექსპერიმენტი განხორციელდა. საქართველო რომ კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირს, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. ასევე მნიშვნელოვანია ბრიუსელის რეკომენდაციების გაზიარება“, — აღნიშნა მომხსენებელმა.

პოლონური გამოცდილება გაუზიარა აუდიტორიას და ეკონომიკის განვითარების პოლონურ მაგალითებზე ისაუბრა სლოვომირ პატრიცკიმ (პოლონეთი), რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთმა ბევრი რამ აიღო გერმანიისგან და მათი რეფორმებისგან, „თანამედროვე პოლონეთმა კი კარი გაუღო გლობალიზაციას როგორც ზოგადად, ასევე ეკონომიკაში“, — აღნიშნა მან.

მოსკოვის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა ალბერტ ზარნაძემ ისაუბრა მსოფლიო ფინანსურ კრიზისებზე და მათ მახასიათებლებზე. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ დღეისათვის მსოფლიოში ეკონომიკური მეცნიერება უკან იხევს და წინა პლანზე გადმოდის სოციალური პრობლემატიკა და სოციალური მეცნიერება. მან ასევე ყურადღება გაამახვილა რუსულ ეკონომიკაში დამკვიდრებულ ტენდენციებზე.

ძალზე აქტუალურ საკითხს — ეკონომიკისა და ეკოლოგიის ურთიერთქმედებებს შეეხებოდა პროფესორ რამაზ აბესაძის მოხსენება: „მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები“, რომელშიც მან ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერგიის რაციონალური გაცვლის საფუძველზე, რომ ეკონომიკური განვითარება დაემყარება ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებებს. „ეკონომიკური ზრდის გამოდევნებამ შესაძლებელია აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს საზოგადოებას. ამიტომ აუცილებელია მოხდეს შეფასება, თუ რა დაჯდა იგი, რა რაოდენობის აღდგენადი ან არააღდგენადი რესურსები დაიხარჯა, რა ზარალი მიადგა ამის გამო გარემოს“, — აღნიშნა რამაზ აბესაძემ და მოხსენების დასასრულ, ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებაც ეკონომიკურ საქმიანობაში აუცილებელია.

ასევე დიდი დაინტერესება გამოიწვია თსუ-ის პროფესორ თეიმურაზ შენგელიას მოხსენებამ „მსოფლიოს ტერორისტული საფრთხეების ეკონომიკური შედეგები და გავლენა გლობალურ ბიზნესზე“. „2008 წლიდან შეინიშნება ტერორისტული აქტივობის ზრდა. 2013 წელს, 2008 წელთან შედარებით ტერორიზმი 43 პროცენტით იყო გაზრდილი, 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 61 პროცენტს მიაღწია და პროცესების ამგვარმა დინებამ შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ სერიოზული დარტყმა მიაყენოს გლობალურ ბიზნესს“, — აღნიშნა მომხსენებელმა და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაცია, სამოქალაქო ომები, კონფლიქტის კერები და ტერორისტული საფრთხეები ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა. მან მოიყვანა I-ის (Institute for Economics and Peace) მონაცემები, რომლის მიხედვითაც იმ 10 ქვეყანას შორის, სადაც არსებული მშვიდობა ყოველ წუთს შესაძლოა დაირღვეს, საქართველოცაა. „2014 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მშვიდობიან რეგიონად ითვლებოდა ევროპა, კანადა და ავსტრალია, თუმცა 2015 წელს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ევროპამ დაკარგა ეს სტატუსი“, — აღინიშნა მოხსენებაში. რა თანხა იხარჯება მსოფლიოში კონფლიქტების, ძალადობისა და ტერორიზმთან ბრძოლისათვის? პროფესორ თეიმურაზ შენგელიას თქმით, 2014 წლის მონაცემებით, ამისათვის დაიხარჯა 9,8 ტრილიონი აშშ დოლარი.

მსოფლიოში არსებული მდგომარეობის გაანალიზების შემდგომ, მომხსენებელმა პარალელი გაავლო საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან და მოიყვანა მონაცემები, რომელიც შეიცავდა საქართველოში მშვიდობიანობის ინდექსის ცვალებადობის სურათს. ამ მონაცემების მიხედვით, საქართველომ მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა: 2013 წელს იგი 139 ადგილზე იყო, დღეს 111-ე პოზიციაზეა, რაც ეკონომიკური განვითარების მეტ პერსპექტივას იძლევა და გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელსაც ზრდის. „საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ეკონომიკა გლობალურ დონეზე იყოს კონკურენტუნარიანი. შვეიცარული ორგანიზაცია — მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნესგარემო. საქართველოდან კვლევაში მონაწილეობას იღებდა 200-მდე ფირმა, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით ყოველ წელს შეირჩევა. 2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა და სამი ადგილით ზემოთ აიწია 2013 წლის მონაცემთან შედარებით. უკვე მეოთხე წელია საქართველოს ამ მხრივ დადებითი ტენდენცია აქვს“, — აღნიშნა მომხსენებელმა.

სამეცნიერო კონფერენციაზე სხვადასხვა სექციაში 180-მდე მოხსენება წარმოადგინეს, რაც იმას მიანიშნებს, რომ ინსტიტუტი აქტიური და მჩქეფარე სამეცნიერო ცხოვრებით ცხოვრობს. „ჩვენ 2009 წლიდან აღვნიშნავთ ინსტიტუტის დაარსების დღეს საერთაშორისო კონფერენციით. დღესაც ინსტიტუტის 71-ე წლისთავია და ამასთანავე ინსტიტუტის დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 110 წლისთავი, რასაც მიეძღვნა ეს კონფერენცია. უნდა ვთქვა, რომ ინსტიტუტში სასიამოვნო ძვრები და სიახლეებია — წელს პირველად მეცნიერ-თანამშრომელთა ხელფასები 2-3-ჯერ გაიზარდა, რაც მათ კიდევ მეტ სტიმულს აძლევს ახალი კვლევებისთვის. ამას გარდა, უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ლადო პაპავას დიდი ძალისხმევით, ინსტიტუტის შენობა გადმოეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რითაც საბოლოოდ დავიმკვიდრეთ თავი იმ შენობაში, რომელსაც ათეულობით წლებია ვფლობთ.

ასევე აღსანიშნავია, რომ გადაწყდა ჩვენი ინსტიტუტის ინსტიტუციონალური მოწყობის საკითხიც. შევიმუშავეთ დებულება, რომელიც დაამტკიცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ. ახალი ეტაპი ინსტიტუტის ცხოვრებაში დაიწყება სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის არჩევნებით. ეს იქნება თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა რამაზ აბესაძემ.

11 ივლისს სამეცნიერო კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. შემოდგომაზე ინსტიტუტი კიდევ ერთ სამეცნიერო ფორუმს უმასპინძლებს, რომელზეც მეცნიერები განიხილავენ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს და სათანადო რეკომენდაციებს შესთავაზებენ ხელისუფლებას.

ფინანსური მხარდაჭერა 21 სტუდენტს

7 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გაიმართა საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდის“ შეხვედრა, სადაც განიხილეს იმ სტუდენტების ანკეტები, რომლებმაც ფინანსური მხარდაჭერის მიღების სურვილი გამოთქვეს.

კომისიის გადაწყვეტილებით, 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაფინანსდება 21 სტუდენტი, მათ შორის 15 ბაკალავრი და 6 მაგისტრი.

ფონდის დაარსების შემდეგ ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმატებულმა, მაგრამ ხელმოკლე და სოციალურად დაუცველმა სტუდენტებმა, განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს. კერძოდ, 2015 წლის თებერვალში ფინანსური დახმარება გაიცა 18 სტუდენტზე.

საქველმოქმედო ორგანიზაცია „სწავლის ხელშეწყობის ფონდი“ თანამშრომლობის გამო მადლობას უცხადებს ფონდის პარტნიორებს: კომპანია „ზედაზენს“, კომპანია „ვისოლს“, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და თბილისის მერიას.

„საჯარო მმართველობის“ მაგისტრანტების ორთვიანი სტაჟირება ევროპაში

ნატო ოგოლაძე

სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობის“ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა ორთვიანი პრაქტიკა ევროპის ქვეყნებში გაიარეს. პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად სტუდენტები ზაფხულში ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციებში და დაწესებულებებში გადანაწილდნენ, სადაც ორი წლის განმავლობაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ითვისებდნენ. სწავლება ორკვირიანი საზაფხულო სკოლით დასრულდა. საზაფხულო სკოლა შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში გაიმართა და მასში სამაგისტრო პროგრამის 17 მაგისტრანტი მონაწილეობდა.

„სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ ინტერდისციპლინური, ინგლისურენოვანი და საქართველოში ერთადერთი საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამაა. ლექციები იკითხება „ტანდემ-ფორმატში“, ანუ იგი აწყობილია ისე, რომ სტუდენტებს გერმანელ პროფესორებთან ერთად ქართველი ლექტორებიც უკითხავენ ლექციებს. პროგრამაში ორი სავალდებულო კომპონენტი შედის, ეს არის პრაქტიკები – საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. წელს მაგისტრანტები იმყოფებოდნენ ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციებში, ევროპარლამენტში, სტრასბურგის სასამართლოში, ბერლინის სასამართლოში და ა.შ. სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას ევროპაში, ფინანსური კუთხით, სრულად ფოლკსვაგენის ფონდი ანაზღაურებდა, მათ შორის სტუდენტების სტიპენდიას“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა, სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორმა თამარ ბერიშვილმა.

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შპაიერის უნივერსიტეტთან ერთად და ფოლკსვაგენის ფონდის ხელშეწყობით 2009 წლიდან ხორციელდება. პროგრამის დანიშნულება სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებაა. სასწავლო პროცესი პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად შემუშავებული, თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზე მორგებული კურიკულუმის მიხედვით მიმდინარეობს. 2015 წლის ივნისში კი პროგრამამ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია, რაც ქართული საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს. თამარ ბერიშვილის ინფორმაციით, პროგრამის ყველა კურსდამთავრებული ამ დროისთვის დასაქმებულია, რადგან სწავლების ხარისხი დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატურია. ანალოგიური მოსაზრება აქვთ დამამთავრებელი კურსის მაგისტრანტებსაც, რომლებიც პრაქტიკული სწავლების შემდეგ უკვე სამაგისტრო ნაშრომის დასრულებაზე მუშაობენ.

„ბაკალავრიატი სოციალური მუშაკის სპეციალობით დავამთავრე. გარკვეული პერიოდი საჯარო სამსახურში ვმუშაობდი. დამჭირდა მენეჯმენტის, სამართლის, ცოტა ეკონომიკის ცოდნა. ამიტომ ჩავაბარე ამ პროგრამაზე და მოლოდინი გამიმართლდა. სწავლება თანამედროვე მოთხოვნებს მორგებულია. რაც შეეხება ევროპაში პრაქტიკების ორ თვეს, ძალიან პროდუქტიული და საინტერესო იყო. ვმუშაობდი რომში, საერთაშორისო ორგანიზაციის „intermedia innovation“ ცენტრალურ ოფისში, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოღვაწეობს. ეს ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილებაა: გავიცანი ახალი ადამიანები, მაქვს ახალი კონტაქტები. ვფიქრობ, მომავალში ძალიან გამომადგება. პროდუქტიული იყო საზაფხულო სკოლის ორი კვირა შპაიერის უნივერსიტეტშიც. ვუსმენდით ლექციებს, ასევე გვქონდა შეხვედრები გერმანიის სხვადასხვა ინსტიტუციებში დასაქმებულ სპეციალისტებთან. ახლა სამაგისტრო ნაშრომს ვასრულებ თემაზე — „ბავშვების და ოჯახის უფლებები და უფლებების დაცვა ევროპის ქარტიის მიხედვით“, — გვითხრა მაგისტრანტმა, საერთაშორისო ორგანიზაციის „world vision Georgia“ კონსულტანტ-ტრენერმა მახარე მერებაშვილმა.

პროგრამის დამამთავრებელი კურსის თითოეულმა სტუდენტმა ევროპაში სტაჟირება იმ ორგანიზაციასა თუ დაწესებულებაში გაიარა, რომელიც მის ინტერესებში შედიოდა. სალომე კანდელაკი, რომელიც ამავდროულად საერთაშორისო ორგანიზაციაში ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოში გუნდის ასისტენტის თანამდებობაზე მუშაობს, პრაქტიკული სწავლების მიზნით გერმანია-დანიის საზღვარზე საერთაშორისო ორგანიზაციაში „ეთნიკური უმცირესობების ცენტრში“ იყო მივლინებული.

„დანია-გერმანია კონფლიქტების მოგვარების ერთერთ საუკეთესო მაგალითად ითვლება. საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოახერხეს ამ ქვეყნებმა მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ ურთიერთობების დალაგება და გაღრმავება. „ეთნიკური უმცირესობების ცენტრში“ მუშაობისას ჩართული ვიყავი ადმინისტრაციულ საქმიანობაში და მკვლევარებთანაც ვთანამშრომლობდი. მათთან ურთიერთობას ახლაც ვაგრძელებ. ვწერ სტატიას საქართველოში საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით.

დიდი გამოცდილება და ცოდნა მივიღეთ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისას. ვეწვიეთ ბერლინის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოს, სადაც თავად მოსამართლე შეგვხვდა და შიდა სტრუქტურა გაგვაცნო. ვიყავით რაიხსტაგშიც და ვესაუბრეთ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერსაც. ასევე, შევხვდით შპაიერის მერს, რომელიც არაჩვეულებრივი იურისტი და პიარ-მენეჯერია. ვიყავით სტრასბურგშიც, ევროპარლამენტში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში... ყველაფერი, რაც ვისწავლეთ, მნიშვნელოვანია და მუშაობის პროცესში გამოგვადგება. ფაქტობრივად, თუ საჯარო სამსახურში დავსაქმდები, მექნება საჭირო ცოდნა და, გარკვეულწილად, გამოცდილებაც“, — აღნიშნა სალომე კანდელაკმა.

ქართველი სტუდენტების ევროპაში ვიზიტს შპაიერის უნივერსიტეტის გაზეთი „კურიერი“ გამოეხმაურა სტატიით „ახალგაზრდა დემოკრატიის განვითარების პროგრამა სამხრეთ კავკასიაში“. ასევე დაიბეჭდა სტატია სტუდენტების შპაიერის მერთან შეხვედრის შესახებ სათაურით - „ჩახედვა ბიუროკრატიის ჯუნგლებში“.

სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი აკადემიური კადრების მომზადებაც გახლავთ. ამ დროისთვის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში დისერტაციაზე 3 ქართველი დოქტორანტი მუშაობს, რომლებიც საქართველოში დაბრუნების შემდეგ საქმიანობის გაგრძელებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გეგმავენ.

გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის XI მსოფლიო კონგრესს თსუ უმასპინძლებს

2016 წლის 16-20 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის XI მსოფლიო კონგრესს უმასპინძლებს.

გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც 200-მდე ქვეყანას აერთიანებს, 1982 წლიდან არსებობს. მისი შტაბ-ბინა რიო დე ჟანეიროშია განთავსებული. ასოციაცია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მართავს კონგრესს, რომელიც ჩატარებულ კვლევებს აჯამებს და მომავალი კონგრესისთვის ახალ საკვლევ თემატიკას არჩევს. ტორონტოში, მილანში და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში უკვე 10-ჯერ გაიმართა მკვლევართა შეხვედრა კონგრესის ფარგლებში, მომავალ წელს კი ის თბილისში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მულტილინგვალური ასოციაციის დახმარებით გაიმართება.

ნიშანდობლივია, რომ 2012 წლის გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც რიო დე ჟანეიროში შედგა, გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი დავით გოცირიძე აირჩიეს, რითაც კონგრესის თბილისში გამართვის უფლება მოიპოვეს.

გამოყენებითი ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. მისი წევრები იკვლევენ კულტურათა ჰარმონიზაციის პროცესებს თანამედროვე სამყაროში და მსოფლიოს ხალხთა კომუნიკაციების სტრატეგიებს.

დავით გოცირიძე, ფსიქოლინგვისტიკის საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

„როცა წარმოდგენა გვაქვს ღირებულებებზე, შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რა დონეზე ხდება ხალხთა შორის კომუნიკაცია და ადვილია კონტაქტში შესვლაც. საბჭოთა პერიოდში არ გვქონდა შესაძლებლობა, რომ საქართველოს დამოუკიდებლად ეწარმოებინა მსოფლიოს ხალხთა კულტურების კვლევა. ახლა უკვე, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, ვატარებთ კვლევებს მთელს მსოფლიოში, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. ჩვენი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს იუნესკოსთან და გაეროსთან, რადგან პრობლემები, რომლებზეც ჩვენ ვმუშაობთ (ეს ეხება კონფლიქტებს, მულტიკულტურალიზმს და ა.შ.), გლობალური ხასიათისაა. გვინდა, რომ თბილისის კონგრესზე მაღალი დონის კვლევები წარმოვადგინოთ. გარდა ამისა, ახალ მეთოდსაც ვამკვიდრებთ — ჩვენ მიერ შერჩეული მოხსენებები აიტვირთება სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე, სადაც ყველა მონაწილე გაეცნობა მათ და კონგრესის მიმდინარეობის დროს საგნობრივი საუბრები კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართება“.

2016 წლის კონგრესის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. მიღებულია 1000-მდე ნაშრომი და საორგანიზაციო კომიტეტი ამ ეტაპზე მათი გადარჩევით არის დაკავებული.

მოამზადა
მაია ტორაძემ

„ტიპოლოგიური ძიებანის“ ახალი გამოცემა ირინე მელიქიშვილის ხსოვნას მიეძღვნა

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ირინე (ლულუ) მელიქიშვილის ხსოვნას ეძღვნება VII სამეცნიერო კრებული — „ტიპოლოგიური ძიებანი“ — რომელიც სექტემბრის ბოლოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცემა. კრებულში შესული სამეცნიერო ნაშრომების უმეტესობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს ეკუთვნის.

შურთხია ბეროშვილი

სამეცნიერო კრებული „ტიპოლოგიური ძიებანი“ 1988 წელს აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ტიპოლოგიის განყოფილების გამგემ, გამოჩენილმა მეცნიერმა ვლადიმერ ახვლედიანმა დააარსა. კრებულის რედაქტორის, თსუ-ის პროფესორის მარიკა ჯიქიას ინფორმაციით, სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანია და მხოლოდ ლინგვისტური ტიპოლოგიის სფეროთი არ იფარგლება.

„რედაქციის გადაწყვეტილებით, თითოეული ნომერი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის მოღვაწეობას ან ხსოვნას ეძღვნება. კრებულის IV ნომერი ბატონი ლადოს გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. იგი მისი დაბადების 75 წლისთავს დავამთხვიეთ. ასევე მრავალპროფილიანია V კრებული, რომელიც აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა. VI კრებული მიეძღვნა ტიპოლოგიის განყოფილების უხუცეს თანამშრომელს, პროფესორ მერი დამენიას. წინამდებარე კრებული კი ირინე მელიქიშვილის ხსოვნას ეძღვნება. ტრადიციისამებრ, კრებულს დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვინფრიდ ბოედერმა“, — აღნიშნა მარიკა ჯიქიამ.

ირინე მელიქიშვილმა სამეცნიერო საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში დაიწყო. აქ მუშაობდა 1965-1986 წლებში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უმცროს და ბოლოს უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. აქვე მოამზადა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მარკირების მიმართება ფონოლოგიაში“. ასევე წარმატებული იყო მისი სადოქტორო დისერტაციაც — „საერთო-ქართველური ძირი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თვალსაზრისით“, რომელშიც წარმოდგენილია ძირის სტრუქტურათა ზოგადი ტიპოლოგია, რეკონსტრუირებულია საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურა, გამოვლენილია საერთო-ქართველური და საერთო-ინდოევროპული ძირის სტრუქტურათა ფუნდამენტური პარალელიზმი. ირინე მელიქიშვილის მიერ წარმოჩენილი კანონზომიერებანი საფუძვლად დაედო საერთო-ინდოევროპულ ხშულთა სისტემის და საერთო-ქართველური სისტემის რეინტერპრეტაციას.

1986 წლიდან ირინე მელიქიშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიისა და ფონეტიკის განყოფილებაში, 2000 წლიდან კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში: 2000-2005 წლებში იყო ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი, 2005-2006 წლებში — კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, 2006 წლიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტის თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი. 2009 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართოა: ენათა ტიპოლოგიური შედარება და ენობრივი უნივერსალიები, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, არეალური ლინგვისტიკა, ქართველური ენების ტიპოლოგია და ისტორია. პარალელურად მას აქვს საყურადღებო გამოკვლევები ზოგადი ენათმეცნიერების სხვა სფეროებშიც. ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მის პუბლიკაციებს იცნობდნენ ევროპაში. ქალბატონი ირინეს სამეცნიერო მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი და ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოედერი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ირინე მელიქიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა ფონოლოგიური და ფონოტაქტური თვისებების სისტემატური ახსნის სფეროში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეცნიერ თავისი მოღვაწეობის მანძილზე არაერთი საგრანტო პროექტის ავტორი იყო. მან შეადგინა სასწავლო პროგრამები „თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების“ სპეციალობისთვის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებისთვის, ასევე, შემოიღო ახალი სასწავლო კურსები.

მარიკა ჯიქიას ინფორმაციით, მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილ ახალ კრებულში გამოქვეყნებული სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია და საინტერესოა სამეცნიერო თვალსაზრისით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრებულში დაბეჭდილი სტატიების უმეტესობა თსუ-ის პროფესორების დაწერილია, ასევე მნიშვნელოვანია კრებულში არსებული ვინფრიდ ბოედერის სტატია, რომელიც მეცნიერის მოღვაწეობაზე საუბრობს: „ირინე მელიქიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა უყურადღებოდ კი არ უნდა დაიმარხოს ბიბლიოგრაფიებში, არამედ სამომავლო სამუშაოს გზამკვლევი უნდა გახდეს მის მიერვე ნაჩვენები მიმართულებით და მისივე პროგრამის ფარგლებში – განსაკუთრებით საქართველოში.

ირინე მელიქიშვილი ეკუთვნის იმ ტრადიციას, რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ქართველურ ენათა სფეროში ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების აყვავების ხანა მოიტანა. ვინც ამ პერიოდის ნაშრომებში ჩაიხედავს, გაკვირვებული დარჩება იმით, თუ რამდენად ავითარებდა ქართველოლოგიას, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ენათმეცნიერებას, ახალგაზრდა თაობა, რომელსაც სხვებთან ერთად ეკუთვნოდა გივი მაჭავარიანი და თამაზ გამყრელიძე – და ეს ყველაფერი ხდებოდა საბჭოთა პროვინციის პირობებში. ირინე მელიქიშვილი რჩება სანიმუშო მაგალითად ყველასთვის, ვინც სერიოზულად იმუშავებს ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით; და ამასთანავე მათთვის, ვინც მის მსგავსად ქართველურ ენათა სოლიდურ ცოდნას საჭირო საიმედოობით დაუკავშირებს ზოგად და ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებასთან“, — წერს ვინფრიდ ბოედერი.

მარიკა ჯიქიას ინფორმაციით, კრებულს გამოსცემს გამომცემლობა ,,ქართული აკადემიური წიგნი”, რომელიც 5 წელია თანამშრომლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მათ შორის დადებულია მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი ხელს უწყობს გამომცემლობის საქმიანობის განვითარებას და პოპულარიზაციას, ვინაიდან ,,ქართული აკადემიური წიგნი” ემსახურება ქართული მეცნიერების წარმოჩენას მსოფლიოს მასშტაბით. გამომცემლობა უნივერსიტეტში პერიოდულად აწყობს თსუ-ის პროფესორთა წიგნების პრეზენტაციებს.

თსუ-ის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა ღონისძიება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მაგისტრის წოდების მინიჭება კურსდამთავრებულებს თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა მიულოცეს.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ყოველი საფეხური. მაგისტრატურა უმაღლესი განათლების საკმაოდ მნიშვნელოვანი საფეხურია. ჩვენ ჩვენი მაგისტრებით ვამაყობთ. დარწმუნებული ვარ, ისინი იქნებიან ჩვენი ქვეყნის სერიოზული საკადრო პოტენციალი, აქტიურად ჩაერევიან ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობის სხვადასხვა სფეროში“.

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თსუ-ის კურსდამთავრებულის სტატუსია. თბილისის უნივერსიტეტი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში. გისურვებთ, იყოთ ჯანსაღად კრიტიკულები, დააფასეთ ის შესაძლებლობები, რომელიც უნივერსიტეტმა მოგცათ. ძალიან დიდ წარმატებებსა და თავისუფლებას გისურვებთ. თქვენი ცოდნა, ენთუზიაზმი, ენერგია ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას“, — აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა.

„განსაკუთრებული განწყობა მაკავშირებს ამ უნივერსიტეტთან, რადგან მეც თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მაგისტრები მზად არიან, აქვთ შესაბამისი ცოდნა, რომ ჩაერთონ ქვეყნის აღმშენებლობის, განვითარების პროცესში“, — განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა.

„როდესაც პირველად შემოვდგი ფეხი ამ შენობაში, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, საით გავაგრძელებდი ჩემს გზას და ეს პროცესი არ დასრულებულა, მაგრამ უნივერსიტეტმა შეცვალა მთავარი: სწორედ აქ ვისწავლე, რას ნიშნავს, აზროვნებდე და როგორაა შესაძლებელი, ჩამოყალიბდე დამოუკიდებელ პიროვნებად. თვისებები, რომლებიც აღმოვაჩინე საკუთარ თავში, ამ წლების უდიდესი მონაპოვარია, რომელიც მთელი მომავალი ცხოვრების განმავლობაში გამყვება თან. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს, განსაკუთრებით კი ჩვენს პროფესურას, ვინაიდან თითოეულ მათგანთან ურთიერთობამ განსაკუთრებული და განუმეორებელი ცხოვრებისეული გამოცდილება მომცა და როგორც უნდა გაგრძელდეს ჩემი გზა მომავლისკენ, ყოველთვის მემახსოვრება, რომ მე უნივერსიტეტელი ვარ!“, — განაცხადა თსუ-ის მაგისტრმა ნინო აფციაურმა.

საზეიმო ღონისძიების შემდეგ მუსიკალურმა ბენდმა „Goofyland“ კონცერტი გამართა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის ქართული და უცხოური ჰიტების ვარიაციები დაუკრა.

თსუ-ში 90 საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს. 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა 800-მდე სტუდენტმა დაამთავრა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲔᲐᲚᲘ „ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲡᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ — „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრის შემადგენლობაში შევიდა, რაც პროექტის მუშაობას უფრო ნაყოფიერს და ეფექტურს გახდის. „თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრთან თანამშრომლობით „საბავშვო უნივერსიტეტს“ ახალი პერსპექტივები, ახალი შესაძლებლობები ესახება, რომელიც გააფართოებს პროექტის საქმიანობის ფორმატს და შესაძლებლობებს.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ ეფექტური საქმიანობის შედეგია ის, რომ „საბავშვო უნივერსიტეტის“ მსმენელები დღეს უკვე აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროექტებში.

თუ რა სიახლეებს გვთავაზობს ახალი სასწავლო წლიდან „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ — ამის შესახებ გვესაუბრება პროექტის კოორდინატორი, თსუ-ის რექტორის მრჩეველი ***მარინა ლომოური:***

— „თსუ საბავშვო უნივერსიტეტი“ ახალ სასწავლო წელს ახალი, უფრო მასშტაბური შემეცნებითი, საგანმანათლებლო პროგრამით ხვდება. ამის საშუალებას გვაძლევს ახალი რეალობა - საბავშვო უნივერსიტეტის თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრის შემადგენლობაში შესვლა გაზრდის მოსწავლეებთან ჩვენი მუშაობის მოცულობას, ფორმატის გამრავალფეროვნებას.

— ***ქალბატონო მარინა, განათლების სისტემაში ცვლილებები ხშირია და მათ ხარისხიანობაზე დღეს ნაკლებად ვსაუბრობთ. ეს ის საჭირბოროტო საკითხია, რომელიც მომავალი თაობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.***

დღეს, სკოლაში მიღებული ცოდნა არასაკმარისია უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად. როგორ ფიქრობთ, საჭიროა, რომ უნივერსიტეტი უფრო მეტად დაუახლოვდეს სკოლას და იზრუნოს სასკოლო განათლების ხარისხის ამაღლებაზე?

— ანბანური ჭეშმარიტება იქნება იმის მტკიცება, რომ განათლება ცივილიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მისი ჰუმანისტური მნიშვნელობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად არის დეკლარირებული, ხოლო სტრატეგიული მნიშვნელობა აღიარებულია იმ ყურადღებითა და დაფინანსებით, რასაც დღევანდელი მსოფლიოს მოწინავე (და არა მარტო) სახელმწიფოები ახმარენ მის განვითარებას. აშკარაა, რომ სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი აბრკოლებს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ასუსტებს მის სახელმწიფოებრივ სრულფასოვნებასა და დამოუკიდებლობას.

გასული ათწლეულის განმავლობაში სასკოლო განათლებაში სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სახელმძღვანელოების შედგენის, შერჩევის და სკოლებისთვის გადაცემის, პედაგოგების სერტიფიცირებისა და დირექტორების შერჩევის რამდენიმე განსხვავებული მოდელი ვცადეთ, მაგრამ ყოველი ეს მოდელი, მაქსიმუმ 1-2 წელიწადში იცვლებოდა ახლით, მაგრამ, როგორც მალევე ირკვეოდა - არა უკეთესი ვარიანტით. ასე რომ, დასახულ მიზანს — სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ვერ მივაღწიეთ, ეს კი სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო განათლების ათვისების ხარისხზე და ბოლოს, უნივერსიტეტის პრესტიჟზე აისახება.

ჩვენ წლების განმავლობაში მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სკოლებთან, ვაცნობთ მოსწავლეებს უნივერსიტეტს, ვცდილობთ ხელი შევუწყოთ სწავლის, მეცნიერების, სხვადასხვა პროფესიის მიმართ ინტერესის გაღვივებას. ამავე დროს, სისტემატურად ვეცნობით სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სასკოლო განათლების რეფორმირების წარმატებულ მოდელებს, ვეძებთ ჩვენ რეალობაში მათი დანერგვის შესაძლებლობებს.

სასკოლო განათლების რეფორმირების ერთ-ერთი წარმატებული, უნიფიცირებული მოდელი, შეიძლება ითქვას, რეცეპტი, შემუშავებულია საკმაოდ მასშტაბურ კვლევაზე დაყრდნობით განათლების სფეროში ისეთი ცნობილი, ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ, როგორიც არის McKinsey&Company, რომელიც 2010 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა.

— ***რას ეფუძნება აღნიშნული კვლევა და რა მნიშვნელოვანი დასკვნები გაკეთდა კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე?***

— აღნიშნული კვლევა მოიცავს ისეთი განსხვავებული ქვეყნების გამოცდილებას, როგორებიცაა: ფინეთი, სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ლატვია, ლიტვა, ინგლისი, სომხეთი, ჩილე, ბრაზილიისა და ინდოეთის შტატები, განა და სხვ. სასკოლო განათლების დონის მიხედვით წარმატების დიდად განსხვავებულ საფეხურებზე მდგომი სულ 20 სისტემაა. შედგენილია მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს სისტემის რეფორმირების 575 კონკრეტულ ელემენტს, გაანალიზებულია 200-ზე მეტი ინტერვიუ ქვეყნების განათლების სისტემის პროფესიონალ და პოლიტიკურ ლიდერებთან.

McKinsey&Company-ს ეს ნაშრომი იმდენად დეტალიზებული და ყოვლისმომცველია, რომ იქმნება მკაფიო შთაბეჭდილება: საკმარისია დაიდო ის წინ, ნაბიჯ-ნაბიჯ შეასრულო ყველა რეკომენდაცია (რა თქმა უნდა, ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით და ჩვენ რეალობასთან ადაპტირებით) და წარმატებაც გარანტირებულია. ეს მოდელი, გარდა სხვა ქვეყნებისა, სომხეთში, ლიტვასა და ლატვიაშია გამოყენებული. ალბათ, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ 25 წლის წინ, სასკოლო განათლების სისტემის მდგომარეობა ჩვენსა და ამ ქვეყნებში დაახლოებით მსგავსი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული და ეთნოკულტურული განსხვავებები აშკარაა, ალბათ შეიძლება მაინც დაისვას კითხვა - თუ იმ ქვეყნებში აღნიშნული მოდელით მიმდინარე სასკოლო განათლების რეფორმა წარმატებულია, რატომ ვერ მოხერხდა ამ მოდელის ჩვენთან გამოყენება?

სასკოლო განათლების რეფორმირების ამ მოდელში სისტემების წინსვლა რანჟირებულია შემდეგი თანმიმდევრობით: არადამაკმაყოფილებელიდან (მაგ., ბრაზილიის შტატი მინას-ჟერაისი) საუკეთესოსკენ (მაგ., ფინეთი).

ათვლის წერტილებად აღებულია სასკოლო განათლების დონის საერთაშორისო კვლევების (Programme for International Student Assessment, PISA; Trends in International Mathematics and Science Study, TIMSS; Progress in International Reading Literacy Study, PIRLS), ასევე, ქვეყნის შიგნით ჩატარებული კვლევების არსებული მონაცემები. (სხვათა შორის, ოდესღაც საქართველოც იყო ამ კვლევებში ჩართული, ძალზე არასახარბიელო შედეგები კი მივიღეთ.... მაგრამ რამდენიმე წლის წინ ეს მონაწილეობა შეწყდა).

კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგების საფუძველზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატებული რეფორმის განმაპირობებელი უნივერსალური ფაქტორების გამოყოფა: ესენია: ლიდერობის უწყვეტობა (სტაბილურობა), რაც გულისხმობს განათლების სისტემისა და პოლიტიკურ ლიდერების მიერ განათლების, როგორც სახელმწიფო პრიორიტეტის, მინ. 6-7 წლის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში უწყვეტად, თანმიმდევრობით გატარებას, რაც უზრუნველყოფს რეფორმის დაწყების იმპულსსა და იგივე რეფორმის სათანადო დონის, ტემპის, ძალისხმევის შენარჩუნებას. აუცილებელია განისაზღვროს განათლების სისტემის მდგომარეობის საწყისი წერტილი და ასევე რეფორმის ღონისძიებების ელემენტების ურთიერთშეთანხმება. უნდა მოხდეს რეფორმის ღონისძიებების თანმიმდევრული, მკაცრად კონტროლირებადი გატარება განათლების ხარისხის დაბალ საფეხურებზე მყოფ სისტემებში და შემოქმედებითი თავისუფლება განათლების ხარისხის მაღალ საფეხურებზე მყოფ სისტემებში.

თუ ვეცდებით რეფორმის განმაპირობებელი უნივერსალური ფაქტორების ჩვენ რეალობაზე ექსტრაპოლირებას, მივიღებთ პასუხს ზემოთ დასმულ კითხვაზე - დღესდღეობით, სამწუხაროდ, ჩვენი სკოლის რეფორმა იმთავითვე წარუმატებლობისთვისაა განწირული, რადგან არ არსებობს სტაბილური საყრდენი წერტილი, რომლითაც სხვა ქვეყნებში შესაძლებელი გახდა სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

— ***რამ შეიძლება ჩვენს რეალობაში ასეთი საყრდენი წერტილის როლი შეასრულოს?***

— ვიმედოვნებთ, რომ ეს შეიძლება იყოს ტრადიციული ფასეულობა, რაც საქართველოში საუკუნეების მანძილზე შენარჩუნდა - მშობლის სურვილი - ნასწავლი შვილი ჰყავდეს. მაგრამ მშობლის ეს სურვილი რომ ზემოქმედების ქმედით ბერკეტად იქცეს, მშობლების კონსოლიდაციის, საკუთარი როლის გაცნობიერების, საკუთარი პასუხისმგებლობის გაზრდის მიღწევაა საჭირო. ჩვენი ამოცანა ამ პროცესების ხელშეწყობა იქნება.

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, წლევანდელი სასწავლო წლისთვის ჩვენ ახალი სტრატეგია დავსახეთ, რომელიც სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში მშობლებს პერსპექტიულად ანგარიშგასაწევ ძალად განიხილავს და მათთან თანამშრომლობის გააქტიურებას გულისხმობს.

— ***ურთიერთთანამშრომლობის რა კონკრეტული ღონისძიებები დაიგეგმება?***

— წლევანდელ სასწავლო წელს მოსწავლეების მშობლებს ჩვენ რამდენიმე პროექტში მონაწილეობას ვთავაზობთ: საბავშვო უნივერსიტეტის „მშობელთა კლუბში“ გაწევრიანებას. კლუბის წევრებისთვის მოეწყობა ლექციები აღზრდისა და განათლების სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, საუბრები მეცნიერებთან, მწერლებთან, საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. შეხვედრების დროს მშობლებს შეეძლებათ თავიანთი გამოცდილების, პრობლემების, სირთულეების განხილვა, გამოცდილების გაზიარება. დაიგეგმება სისტემატური შეხვედრები მშობლებთან როგორც თბილისის, ასევე რეგიონის სკოლებში, მოეწყობა კონკრეტული აქტუალური პრობლემების განხილვა. საბავშვო უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოხდება „მშობელთა კლუბის“ განთავსება, რაც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს გააზიაროს თავისი მოსაზრება, წამოიწყოს დისკუსია, მიიღოს კომპეტენტური რჩევა და ასე შემდეგ.

გარდა ამისა მშობლებს შეუძლიათ უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა ფასიანი კურსი შეარჩიონ.

რაც შეეხება მოსწავლეებისთვის გამიზნულ შემეცნებით და საგანმანათლებლო პროგრამებს, საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის ფორმატი ამ შემთხვევაში განსხვავებულია და მრავალ თემატურ მიმართულებად არის დაყოფილი.

— ***და მაინც, რა რჩება საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად?***

— საბავშვო უნივერსიტეტი პირველი რიგის ამოცანად კვლავ ჩვენი უნივერსიტეტის, როგორც ქვეყანაში უმაღლესი განათლების პირველი და მთავარი კერის წარდგენას მიიჩნევს. ამ მიზანს ემსახურება ექსკურსიები მოსწავლეთათვის I კორპუსში, თსუ-ის მუზეუმებში, ბიბლიოთეკაში და სასწავლო თუ კვლევით ლაბორატორიებში. მოსწავლეებისთვის მისაწვდომია, აგრეთვე, ლექციები, ლაბორატორიული მუშაობა, კონფერენციები, ვიქტორინები, ექსკურსიები და ა.შ., რომლებიც ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვადასხვა მეთოდოლოგიითა და ფორმით ხორციელდება. მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება პროექტი „თსუ — დესპანი“, რომელიც უკვე 4 წელია, რაც მოხალისე სტუდენტების მონაწილეობით მიმდინარეობს. აღსანიშნავია საბავშვო უნივერსიტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე არსებულ თსუ-ის ეკო კლუბის თანამშრომლობა, რომელიც სხვადასხვა კონკურსების, ვიქტორინების, ექსკურსიების მოწყობას გულისხმობს.

საბავშვო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთერთ ძირითად ფორმას შემეცნებითი სალექციო კურსები წარმოადგენს, რომლებიც ფაკულტეტებზე „ნორჩთა სკოლების“ სახით მიმდინარეობს: „ნორჩ ასტრონომთა სკოლა“ (მეცადინეობები პლანეტარიუმში ტარდება), „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“, „ნორჩ ექსპერიმენტატორ ფიზიკოსთა სკოლა“ და ა.შ. დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერდისციპლინარული ლექციების კურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ეს უკანასკნელი მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა წინაშე უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგება. ყველა ეს პროგრამა მოსწავლეებისათვის უფასოა. ვგეგმავთ ასევე ფასიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას. პირველ ეტაპზე ეს იქნება მე-7–11 კლასების მოსწავლეებისთვის მეცადინეობები მათემატიკა, ფიზიკასა და ქიმიაში, რომლებსაც შემდგომ უცხო ენები და სხვა საბუნებისმეტყველო საგნები დაემატება. მეცადინეობები კვირაში ერთხელ, შაბათს ან კვირას ჩატარდება.

საბავშვო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, ქალაქისა თუ რეგიონის სკოლებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებთან ურთიერთობას. თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს არაქართულენოვან მოსახლეობასთან. მომავალ სასწავლო წელსაც დაგეგმილია რეგიონებში „ღია კარის დღეების“, თემატური შეხვედრების, ერთობლივი კონფერენციების და სხვა ღონისძიებების გამართვა.

ვფიქრობთ, რომ საბავშვო უნივერსიტეტის ეს საქმიანობა პასუხობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ მოწოდებას, იყოს ქვეყნის საგანმამათლებლო სისტემის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, კულტურული ფასეულობების დაცვის და განვითარების უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელიც ყოველთვის პასუხობს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ საჭიროებებს.

მოამზადა
თამარ ღადიანმა

უნიკალური აღმოჩენა გრაკლიან გორაზე

გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი ახალი არტეფაქტი, მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგები არ აქვს. გრაკლიან გორას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე ეწვივნენ.

გრაკლიანი გორის გათხრების შედეგად დაფიქსირდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი ორი საკურთხევლით. საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის ტექსტები. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განცხადებით, „გრაკლიანი გორის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა დაფიქსირდა. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე გაკეთებული წარწერა. ეს უნიკალური აღმოჩენაა, რადგან საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700-წლიან ისტორიას ცხადყოფს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. აქ ტურისტული ინფრასტრუქტურა - ნახევრად ღია მუზეუმი ეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს ძალიან საინტერესო არქეოლოგიური გათხრები დაათვალიეროს“.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალაღმოჩენილ არტეფაქტებს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. მისი თქმით, „წარწერა, რომელიც თსუ-ის ექსპედიციამ აღმოაჩინა გრაკლიან გორაზე, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, მას ანალოგი არ მოეპოვება. რაც ყველაზე მთავარია, იგი განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეს, ანუ საქართველოში დამწერლობის ისტორია უკვე ითვლის 2700 წელს. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე. ეს დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული, ამ ტაძარში გამართულია 2 საკურთხეველი და ორივე საკურთხეველზე აღმოჩენილია წარწერა. ერთ მათგანზე, რომელიც დასავლეთითაა, არის რამდენიმე ასო გამოყვანილი თიხით და მეორე საკურთხეველის პოსტამენტი მთლიანად არის დაფარული წარწერით“. თსუ-ის პროფესორის განცხადებით, „წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცდება საქართველოს მეცნიერების შესწავლის ფარგლებს და საერთაშორისო კვლევის საგანი გახდება. ახალი აღმოჩენა მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთერთ მონაკვეთს“.

„ჩვენი ქვეყნის ისტორია ასეთი აღმოჩენებით არ არის განებივრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები მეცნიერულ დასკვნას უახლოეს პერიოდში დადებენ — თუ რას გულისხმობს ეს წარწერა. ჩვენ ვაგრძელებთ გრაკლიანის არქეოლოგიური გორის ღია მუზეუმად ქცევის სამუშაოებს, მიმდინარეობს გადახურვა და ტერიტორიის კონსერვაცია. ეს ძეგლი იქნება ჩვენი ქვეყნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტულად დატვირთული ობიექტი“, — აღნიშნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ.

გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300 000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 10 ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები — პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და ფარმაცევტული ხელსაწყო — ე.წ. სპატულა, რომელიც წამლების, ხსნარების შესარევად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია. არქეოლოგებმა საინტერესო არქიტექტურული სურათი მიიღეს: იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული შენობების ერთი კვარტალი. უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ძვ. წ. IV ათასწლეულის საბეჭდავები, რომლის ანალოგი სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია აღმოჩენილი; ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი არსებობს ქ. სუზაში (ირანი).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღმოჩენილი რამდენიმე საკულტო ოთახი. მათ შორის საკულტო წისქვილი — 3 კონსტრუქციის ხელსაფქვავი, რომელშიც წმინდა ფქვილი იფქვებოდა, რომლითაც ღმერთებისთვის შესაწირ პურს აცხობდნენ. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი, რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხეველთანაა გამოსახული.

გრაკლიან გორაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ-ის სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62